ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 35 (1370) | 13-19 ნოემბერი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო დღეს: ანალიზი, პროგნოზი, ხსნის გზა

ჭოდარ ჭათაძე

## I. საერთო მდგომარეობა

საქართველო დღეს კატასტროფის მდგომარეობაშია ოთხი მიმართულებით:

1. საქართველოში მიმდინარეობს სამოქალაქო ომი;

2. მტრის მიერ დაკავებულია საქართველოს ტერიტორიის ნაწილი;

3. საქართველოში გამეფებულია ყაჩაღობა, მოშლილია წესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოება;

4. საქართველოში მოშლილია ეკონომიკა, ქვეყანას ემუქრება შიმშილი.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა შედეგია, ერთის მხრივ, რუსეთის იმპერიის გეგმაზომიერი ძირგამომთხრელი საქმიანობისა, იმ კონკრეტული გეგმის ჩათვლით, რომელსაც იგი 1987-88 წლებიდან ახორციელებს თავის იმპერიაში საქართველოს შენარჩუნების მიზნით. მეორე მხრივ, იგი შედეგია თვით ქართველი ერის სისუსტისა, რამდენადაც ერმა ჯერჯერობით ვერ გამოზარდა და პოლიტიკაში ვერ ჩააბა საკმარისი რაოდენობით ერთგული პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული კადრი, რათა არ დაეშვა უმძიმესი შეცდომები თავის მოქმედებაში.

რუსეთის კონკრეტული გეგმა, რომლის განხორციელებასაც იგი 1987-88 წლებში შეუდგა, შემდეგია: ვინაიდან რუსეთმა იცოდა, რომ დასავლეთის ქვეყნებს, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკას მართავენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ საბჭოთა იმპერიის დაშლა, და ვინაიდან საბჭოთა იმპერიას არ ჰქონდა საკმარისი ლეგიტიმური საფუძველი, სახელდობრ, იგი შექმნილი იყო დაუფარავად ძალადობით, კომუნისტური დიქტატურის პირობებში, და არ არსებობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დადგენილება საბჭოთა კავშირში შესვლის შესახებ (მათ შორის, არც საქართველოს ასეთი ორგანოსი), რუსეთმა გადაწყვიტა იმპერიისათვის შედარებით დემოკრატიული და ლეგიტიმური სახის მიცემა. დემოკრატიზაციას ემსახურებოდა 1970-იანი წლებიდან გაშლილი დისიდენტური მოძრაობა (რაც არც თავისი შინაარსით, არც სიმწვავით არ იყო იგივე, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა), ხოლო იმპერიის ლეგიტიმაციას — სსრკ დაშლა და ახალი ფორმით — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა „ნებაყოფლობითი" და პარლამენტთა მიერ დადასტურებული ფორმით — განახლება.

ამ გეგმის განხორციელების მდგომარეობა დღეს ასეთია:

ა) იმპერიულმა და იმპერიის მომხრე ძალებმა პირდაპირი და არაპირდაპირი გზით ხელი შეუწყეს საქართველოს სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე უპერსპექტივო ნაწილის — ზ.გამსახურდიას და მისი გუნდის — მოსვლას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ზ.გამსახურდია, თავისი სპეციფიკური პიროვნული თვისებებისა და თავისი მოუმზადებლობის გამო, ქვეყანას ვერ გაუძღვებოდა, რითაც მასის თვალში თვით ეროვნული თავისუფლების იდეის დისკრედიტაცია მოხდებოდა. ამ გეგმის განხორციელება მოწინააღმდეგემ შეძლო. 1990 წლის 25 მარტის არჩევნების აქტიური ბოიკოტი, რამაც განაპირობა არჩევნების გადატანა და, საბოლოო ჯამში, ზ.გამსახურდიას გუნდის გამარჯვება სხვა ეროვნული ძალების თითქმის სრული გამოთიშვით საპარლამენტო მუშაობიდან, განხორციელდა ზ.გამსახურდიას, გ.ჭანტურიას და ი.წერეთლის მიერ.

ბ) როდესაც ზ.გამსახურდიას მმართველობის ბოლო თვეებში უკვე გამოიკვეთა ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კრიზისი, რუსეთის იმპერიულმა ძალებმა ხელი შეუწყეს სახელმწიფო გადატრიალებას იმის შიშით, რომ ზ.გამსახურდიას მიერ ფაქტობრივად უკვე ხელიდან გაშვებული ხელისუფლება ისევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შიგნით არ დარჩენილიყო. ამ ჩანაფიქრის განხორციელება იმპერიამ შეძლო.

გ) გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ საქართველოში მოიწვია ე.შევარდნაძე, რომელსაც მოსახლეობის დიდი მასა იმედით ელოდა, როგორც ძლიერსა და ავტორიტეტულ პიროვნებას, რომელსაც შეეძლო საქართველოს გონივრული მართვაც და მისი საერთაშორისო იზოლაციიდან გამოყვანაც. მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ შევარდნაძისთვის ხმის მიცემაც 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში და მის პარტიებად მიჩნეული „მშვიდობისათვის" და „დემოკრატიისათვის" მხარდაჭერაც ამ ნდობის გამოცხადება იყო. შევარდნაძის პერიოდის საგარეო პოლიტიკამ, როდესაც მოხდა საქართველოს გამოსვლა იზოლაციიდან, მისი ცნობა მსოფლიოს მიერ და მის მიერ მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარების მიღება მოწინავე ქვეყნებიდან, განამტკიცა და გაზარდა ეს ნდობა.

შევარდნაძის მოსვლა საქართველოს ხელისუფლების სათავეში იმპერიისათვის არ იყო ხელსაყრელი იმ მხრივ, რომ ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის გამოჩენით მცირდებოდა საქართველოში ქაოსის გაღრმავების ალბათობა. მეორეს მხრივ, იმპერიისთვის ხელსაყრელი იყო შევარდნაძის მოსვლა, რადგან ამით იცვლებოდა პოლიტიკის კურსი რუსეთთან დაახლოების მიმართულებით. მართლაც, სახელმწიფო საბჭომ ე.შევარდნაძის ხელმძღვანელობით უარყო მანამდე არსებული ფორმულირება, რომელიც რუსეთის ჯარს საქართველოში „საოკუპაციო ჯარად" აცხადებდა, და თვით ე.შევარდნაძემ თავისი მმართველობის მთელ მანძილზე არავითარი ნაბიჯი არ გადადგა რუსეთის ჯარის მოქმედების შეზღუდვისათვის ჩვენს ქვეყანაში.

დ) შევარდნაძისა და მისი გუნდის საშინაო პოლიტიკამ 1992 წლის მარტიდან დღემდე, ჯამში აღებულმა, საქართველო ჩიხში შეიყვანა. ხელოვნური ზომების მონაწილეობით, როგორიცაა ეროვნული ბანკიდან ტრილიონზე მეტი მანეთისა და კუპონის დაუსჯელი განიავება, პურის შესყიდვაში სახსრების განიავება და მრავალი სხვა, (და არა მხოლოდ რუსეთის მიერ განხორციელებული ბლოკადის შედეგად) გაჩანაგდა ეკონომიკა; ხელოვნურად (და არა მხოლოდ ბუნებრივი სიძნელეების შედეგად) ყაჩაღობისგან დაუცველი დარჩა მოსახლეობა; ხელოვნურად (ღალატის დღემდე გამოუძიებელი მრავალრიცხოვანი ეპიზოდების შედეგად, აგრეთვე დანაშაულებრივი დაუდევრობისა და არაკომპეტენტურობის შედეგად) საქართველომ წააგო ბრძოლა აფხაზეთში. ამ მარცხთა შედეგად საქართველო აღმოჩნდა კატასტროფულ მდგომარეობაში, რომლის ფონზეც დღეს შემოთავაზებულია საქართველოს სნგ-ში შესვლა, როგორც მისი ხსნის ერთადერთი საშუალების გეგმა. ამით მთავრდება, იმპერიის ჩანაფიქრით, იმპერიის აღდგენისა და ლეგიტიმაციის პროცესი.

ზ.გამსახურდიას და მისი გუნდის შეიარაღებული მოქმედება საქართველოში ზ.გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენის ლოზუნგით დღეს ხელს უწყობს რუსეთის იმპერიულ ძალებს საქართველოს იძულებაში, რომ შეუერთდეს სნგ-ს, რადგან ამით საბაბი ეძლევა საქართველოს დღევანდელ მმართველ გუნდს ე.შევარდნაძის მეთაურობით, რომ თავისი კაპიტულანტური პრორუსული პოლიტიკა, რომელიც სნგ-ზეა ორიენტირებული, ჩვენს ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ომით „გაამართლოს" თანამედროვეებისა და ისტორიის წინაშე. ამგვარად, ამ მხრივაც მოვლენები დღესდღეობით იმპერიისათვის სასურველი მიმართულებით ვითარდება.

ე) დასასრულ, ე.შევარდნაძის ადმინისტრაციამ უკვე მიიწვია უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალები რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი საქართველოში სამოქმედოდ, რაც საქართველოში რუსეთის დამკვიდრების კიდევ ერთი ქმედითი გზაა. რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა უკვე დაიწყეს სატრანსპორტო მაგისტრალების დაკავება ამ ქვეყნებისათვის მათი სასიცოცხლო საჭიროების მოტივით. თავდაცვის მინისტრის მოადგილის გენერალ ა.ცქიტიშვილის მიერ ხელმოწერილია დოკუმენტი საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნის პირობებისა და წესის შესახებ. ჯერჯერობით პარლამენტის გვერდის ავლით რუსეთის სამხედრო მყოფობას საქართველოში იურიდიული საფუძველი ეძლევა.

ვ) რუსეთმა შეძლო ჩრდილო კავკასიელების ნაწილობრივ დარაზმვა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად, რითაც მოსხნა მათი საბრძოლო პოტენციალის მიმართვა თვით რუსეთის წინააღმდეგ.

იმპერიის გეგმა საქართველოს მიმართ, ჯერჯერობით, ვერ განხორციელდა მხოლოდ შემდეგ პარამეტრებში:

გაგრძელება მე-2 გვ.

# გაძარცვული ფოთის ამბავი

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ფოთის ერთერთ მაღალი თანამდებობის პირს, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

გამსახურდიას მომხრეთა ფორმირებები ფოთში 1 ოქტომბერს შემოვიდნენ. ეს პრაქტიკულად უბრძოლველად მოხდა, მათ მხოლოდ ერთი ტანკი დაკარგეს თავისი ეკიპაჟით. ქალაქის მერი მელია მათ კაბინეტში დახვდა, მაგრამ მალევე დატოვა ფოთი. შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი, დაინიშნა კომენდანტი. უნდა ითქვას, რომ მათი ფოთში ყოფნის თითქმის ერთი თვის მანძილზე 25 ოქტომბრამდე ქალაქში არ მომხდარა ყაჩაღობა, ძარცვა.

2 ოქტომბერს ჩამოვიდა თავად ზვიად გამსახურდია და ჩაატარა მიტინგი, რომელიც ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცა. იქ მან ერთიანი საქართველოს აღდგენაზე ილაპარაკა. განაცხადა, რომ ჩავიდოდა თბილისამდე და მთელ ქვეყანას გაათავისუფლებდა უკანონო მთავრობის მმართველობისაგან. სულ სამჯერ იყო ფოთში, მაგრამ მიტინგი სხვა დროს აღარ გაუმართავს. მათი მმართველობის პერიოდში ქალაქის ბანკიდან გატანილ იქნა 200000 დოლარი. ეს ცნობილი გახდა ნახევრადოფიციალური წყაროებიდან. ეს ფული უგზოუკვლოდ დაიკარგა.

რაც შეეხება საქართველოს ოფიციალური მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გამსახურდიას მომხრე ნაწილებმა ფოთი მასირებული დაბომბვის შემდეგ დაიკავეს, რეალურად საქმე ასე იყო — უკვე ქალაქში მათი შემოსვლის შემდეგ ფოთი დაბომბა გურიის მხრიდან, დაიღუპა რამდენიმე ადამიანი, რამდენიმე დაიჭრა, ექვსი-შვიდი სახლი დაზიანდა.

25 ოქტომბერს ზვიადისტთა რაზმებმა ქალაქი დატოვეს, 26-ში დილით კი სამთავრობო ჯარები შემოვიდნენ. იმავე დღეს ფოთიდან გაყვანილ იქ-

დასასრული მე-2 გვ.

## გაძარცვული ფოთის ამბავი

დასასრული

ნა 40-მდე მანქანა.

ეს ფორმირებები ფოთში ერთ კვირას იყვნენ და მთელი ამ დროის მანძილზე არ ყოფილა დღე, რომ რომელიმე უბანი არ აეწიოკებინათ. გაიტანეს დიდძალი ქონება, 200 ავტომანქანა. როგორც ამბობენ, წინასწარ ჰქონდათ შედგენილი გასაძარცვი ხალხის სიები და ყაჩაღობა მათ მიხედვით ხდებოდა.

ორ-სამ დღეში ქალაქში დაბრუნდა ყოფილი მერი მელია, მაგრამ მან ამ უმართავი სიტუაციის გაკონტროლება ვერ შეძლო. გაიმართა საქალაქო თათბირი, სადაც მასაც და სხვა ხელმძღვანელებსაც მრავალი საყვედური უთხრეს ფოთის მიტოვებისთვის, მაგრამ ამას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

რამდენიმე დღეში ქუჩაში გამოჩნდნენ პოლიციელები და სხვა შენაერთები. მალე ქალაქში შედარებით სიწყნარე დამყარდა, თუმცა მაროდიორობის ფაქტები აქა-იქ კვლავ ხდებოდა. ძარცვა ხდებოდა არა პოლიტიკურ ნიადაგზე, მომხრეობა-არმომხრეობის მიხედვით, არამედ შეძლებულობის მიხედვით. როგორც ქალაქში გავრცელდა ხმა, ამას აკეთებდა ე.წ. სადესანტო-საიერიშო ბატალიონი, რომელიც ქალაქში თავიდანვე შემოვიდა და ერთ კვირას იყო. ამ დღეებში საქართველოს მთავრობა პრაქტიკულად არ ფლობდა სიტუაციას ფოთში, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ქალაქში არ იყვნენ გამსახურდიას ფორმირებები. ამ დღეებში ფოთი მკვდარ ქალაქად იყო ქცეული, ვერ ნახავდით ვერც ერთ გამვლელს, ქუჩაში მოძრავ ვერც ერთ მანქანას, გარდა იმ სადესანტო-საიერიშო ბატალიონის მებრძოლებისა.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, იგი კონტროლს ემორჩილება, მაგრამ მოსახლეობა მეტად დაღლილია და აფორიაქებული, იგი მხოლოდდამხოლოდ მშვიდობას ელოდება.

# საქართველო დღეს: ანალიზი, პროგნოზი, ხსნის გზა

ნოდარ ნათაძე

გაგრძელება

— მიუხედავად შიმშილობისა და რუსეთის ეკონომიკური დახმარების ილუზორული იმედისა, იმპერიაში საქართველოს დაბრუნების გეგმას სნგ-ში შესვლის სახით, მოსახლეობის განათლებული ნაწილი ახალგაზრდობის ჩათვლით არ ღებულობს.

— საქართველოში არსებობს პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო კადრების მოკლე დროში შექმნის პოტენციალი ე.წ. საშუალო ინტელიგენციის (ანუ პროფესიულად მრავალ დარგში გაწაფული მასის) სახით, რომელიც არ არის რუსეთის წინაშე კაპიტულაციის მომხრე.

— მიუხედავად ანტიქართული პროპაგანდის დროებითი წარმატებისა, ინფორმაციული ომი მსოფლიოს წინაშე საქართველოს დღეს წაგებული არა აქვს.

— მიუხედავად ანტიქართული და პროაფხაზური განწყობილების წარმატებული გაღვივებისა ჩრდ.კავკასიის მთიელებში, მათი ლოიალობა იმპერიისადმი უპერსპექტივოა, რაც დღის წესრიგში აყენებს მდგომარეობის შემდგომ დაძაბვას ჩრდ. კავკასიაში და საქართველოში ჩრდ. კავკასიური ფაქტორის შესუსტებას.

თუ მოვლენები იმ გზით წავიდა, რომლითაც მიდის, მათი განვითარების ზოგადი პროგნოზი ასეთია: სნგ-ში შესვლით საქართველო ვერ მიიღებს იმას, რის მიღებასაც მას ჰპირდებიან ამ ნაბიჯის ქართველი მომხრეები. სახელდობრ:

ა) რუსეთი ნებით არ დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიას;

ბ) რუსეთი შეეცდება, რომ გაგრძელდეს სამოქალაქო ომი საქართველოში. ამისათვის იგი მაქსიმალურად გაუფრთხილდება ზ.გამსახურდიას პიროვნებას და მასზე ზეგავლენის შესაძლებლობას, აგრეთვე შესაძლოა, შეეცდება შეუნარჩუნოს მას პლაცდარმი, რომელიც გადაუკეტავს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს გზას ენგურისაკენ ან ღალიძგისაკენ.

გ) რუსეთი თუმც კი ბლოკადას მოხსნის, მაგრამ ვერ გამოგვისწორებს და არ გამოგვისწორებს ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინაიდან იგი ვერაფერს მოგვცემს და არაფერს მოგვცემს ძველ დროისაგან განსხვავებით მსოფლიო ბაზრის ფასებზე უფრო დაბალ ფასებად. მაქსიმუმი, რის გაკეთებასაც იგი ჩვენთვის მოინდომებს ან შეძლებს, იქნება მცირედი დროებითი ხელშეწყობა (სურსათის ან საწვავის სახით), პროპაგანდისტული მიზნით. სამაგიეროდ, იგი მტკიცედ მოიპოვებს ბატონობას ჩვენს საგარეო, სამხედრო, ეკონომიკურ პოლიტიკაზე და რეალურად წაგვართმევს თავისუფალი განვითარებისა და მოწინავე ქვეყნებთან თავისუფალი ურთიერთობის საშუალებას.

დ) რუსეთი ხელში აიღებს საქართველოში ქართველთა და არაქართველთა ურთიერთობის მართვას, საქართველოს ტერიტორიულ ფედერალიზაციაზე ანუ საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცებაზე ორიენტაციით.

თავის ანტიქართულ პოლიტიკას, ანუ პოლიტიკას საქართველოს დაშლისკენ და დაუძლურებისკენ, რუსეთი განაგრძობს ყველა შემთხვევაში — როგორც ჩვენი სნგ-ში შესვლის, ისე მასში არშესვლის შემთხვევაში, — ვინაიდან მისთვის სნგ-ში საქართველოს შეყვანა თვითმიზანი კი არაა, არამედ მხოლოდ მოხერხებული იურიდიული საშუალებაა თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

**თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა შემთხვევაში სჭირდება რუსეთის ზრახვებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მექანიზმი და საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა ამ მექანიზმების შემუშავება.**

## II. კონკრეტული პრობლემები და ამოცანები

### 1. ყველაზე მწვავეა სამოქალაქო ომის პრობლემა

ეს ომი, ჯერ ერთი, დანაშაულია გამსახურდიას ჯგუფის მხრიდან, რომელმაც შეიარაღებული მოქმედება დაიწყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო მანამდე დაბრკოლება შეუქმნა საქართველოს შეიარაღებულ ძალთა გადაადგილებას იმ დროს, როცა საქართველოს ომი აქვს უცხო მტერთან. მეორეც, ეს არის საქართველოს არსებული ხელისუფლების პოლიტიკური გაკოტრების მაჩვენებელი, ვინაიდან მან დაუშვა ძმათა სისხლისღვრა მის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოში. უფრო მეტიც: ტელევიზიის საშუალებით მან გააღვივა შუღლი თანამემამულეებს შორის (მაგალითად, გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს ჰუბერის უღელტეხილის გადავლა სოხუმიდან ლტოლვილ მოსახლეობას იმიტომ მოუხდა, რომ იგი ზუგდიდში არ მიიღეს. სინამდვილეში სოხუმიდან ზუგდიდისკენ მიმავალი ერთადერთი ღია გზა ჰუბერის უღელტეხილზე გადის და ლტოლვილები მას ვერ ასცდებოდნენ). ამასთან ერთად, მან ზუგდიდის მოსახლეობისთვის უაღრესად გამაღიზიანებელი საკადრო პოლიტიკა გაატარა. რეალურად, როგორც უკვე ვთქვით, **გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებული მოქმედება ხელს უწყობს საქართველოს „სნგ"-ში შესვლის მომხრეებს, ვინაიდან საბაბს აძლევს მათ, თავისი კაპიტულანტური ზრახვა საქართველოში სამოქალაქო ომის არსებობით გაამართლონ.**

**ორივე მხრიდან დანაშაულია თანამოქალაქეებთან და თანამემამულეებთან ბრძოლაში შეიარაღებული უცხოელების გამოყენება** — როგორც კანონიერი სახელმწიფოს დროშის არმქონე „დაქირავებულების" (სინამდვილეში კი მოხალისეების) სახით (გამსახურდიას მომხრეების მიერ), ისე სახელმწიფო დროშის მქონე ოფიციალური რუსული შენაერთების სახით (მთავრობის მიერ).

მიმაჩნია, რომ სამოქალაქო ომის პრობლემის გადაჭრა იმ გზით, რომლითაც მის გადაჭრას ცდილობს საქართველოს ალმასრულებელი ხელისუფლება, სახელდობრ, მისი გადაჭრა საბრძოლო მოქმედების გზით, ჯავშანტექნიკის, არტილერიისა და ავიაციის გამოყენებით, უპერსპექტივოა საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით. პერსპექტიულ გადაჭრად მე მიმაჩნია მხოლოდ ისეთი, რომლითაც

ა) აღდგება ჩვენი ერის პოლიტიკური, სულიერი და ზნეობრივი მთლიანობა, არ დაინგრევა ჩვენი მომავალი ისტორია და ჩვენი პატივისცემა საკუთარი თავისადმი, და ამავე დროს

**ბ) ჩვენ შევძლებთ, მთელი ერის შეუზღუდველი ძალისხმევით, განვწმინდოთ ფრონტის ხაზი მდ.ენგურის გაყოლებით და ვაწარმოოთ წარმატებული სამხედრო მოქმედება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით.**

სხვა ყველა დასასრული ამ სამოქალაქო ომისა მოჩვენებითია და, ამდენად, არადღირებული.

თქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლების მოვალეობად მიმაჩნია საერთო ენის გამონახვა კონფლიქტით მოცული რეგიონის მოსახლეობის ყველა ფენასთან და ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან, მათთან დიფერენცირებული მიდგომის გზით. საქართველოში სამოქალაქო ომისთვის ობიექტური საფუძველი არ არსებობს. ამგვარად, მისი გაგრძელება ან იმის მაჩვენებელია, რომ ხელისუფლებას აკლია ომის შეწყვეტის სურვილი, ან იმისა, რომ მას აკლია მართვის უნარი. დღეს, როცა უკვე დიდი სისხლი დაიღვარა და ურთიერთსიძულვილის დიდი მუხტი დაგროვდა, ომის გაჩერება უფრო ძნელია, ვიდრე ადრე იყო, და იგი უფრო და უფრო ძნელი ხდება. მაგრამ ეს არ ამცირებს ქვეყნის ხელისუფლების პასუხისმგებლობას და არ ათავისუფლებს მას მოვალეობისაგან ნებისმიერი საშუალებით შეწყვიტოს ომი. პოლიტიკურ პლატფორმად, რომლის საფუძველზედაც შეიძლება მოხდეს შიდა ომის შეწყვეტა, მე მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, ვინაიდან სირთულეები არ მოხსნილა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, შეთანხმებული წესით და საყოველთაო მონაწილეობის პირობით. თქმულის განხორციელების ფორმად და მისი მიღწევის ოპტიმალურ საშუალებად მე მიმაჩნდა (სანამ ომი აცილებულა) ღია მოლაპარაკება, ანუ ისეთი მოლაპარაკება, როცა მხარეთა წინადადებები და პასუხები ცნობილი იქნებოდა ფართო მასისთვის. ამის შედეგად:

ა) ან მოხდებოდა რეალური შეთანხმება ამა თუ იმ პირობით,

ბ) ან გამოჩნდებოდა, ვის რად უღირს ერთობა ერის შიგნით და ვის რამდენად ეთმობა თავისი საკუთარი პოლიტიკური ინტერესები საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ. ამით მიღწეული იქნებოდა ინფორმაციული ეფექტი (მე განგებ ვხმარობ სიტყვას „ინფორმაციული", და არა „საპროპაგანდო", ვინაიდან, ამ შემთხვევაში, პოლიტიკის დამყარება მხოლოდ სწორ ცოდნაზე შეიძლება), რის შედეგადაც მოხდებოდა ხალხის ძირითადი მასის ერთ შეხედულებაზე დადგომა. ამგვარად, მისი ჩამოცილება იმ მხარისგან, რომელიც მტყუვნად ჩაითვლება, მაშინ — და მხოლოდ მაშინ — მოხდება ერის სტაბილური გაერთიანება, ანუ მოვლენების ყველა მონაწილის გაერთიანება საკუთარი მსჯავრის საფუძველზე, რაც სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ყველა ამ მონაწილეს საერთო აქვს ისეთი ფუძემდებელი მსოფლმხედველობრივი მამოძრავებელი, როგორიცაა საქართველოს ერთობლივი ინტერესის, მისი ტერიტორიისა და თავისუფლების გადარჩენის სურვილი.

### 2. აფხაზეთის და ცხინვალის ზონის დაბრუნების პრობლემა

დღეს საქართველოს „ესენგეში" შეყვანის მომხრეები ვარაუდობენ, რომ რუსეთი მადლობის ნიშნად დაგვიბრუნებს აფხაზეთს და ცხინვალის მიწას. მე ამის იმედი არ მაქვს, ვინაიდან სასწაულებისა არ მჯერა. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ხელი უნდა შეეწყოს — ან, ყოველ შემთხვევაში, დაბრკოლება არ უნდა შეექმნას — ე.შევარდნაძის მცდელობას ამ მიმართულებით მანამდე, სანამ ამ მხრივ წარმატების იმედი არსებობს. (მდგომარეობა ალბათ, სულ მალე იქნება გარკვეული).

რატომ ვფიქრობ, რომ აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის გადაჭრის პრორუსული გზა საიმედო არ არის? ამას რამდენიმე მოსაზრება მაიძულებს.

**პირველი და მთავარი.** რუსეთს უნდა, რომ ამიერკავკასიის ზონა, მისი ფორპოსტი იყოს ახლო აღმოსავლეთის საკონტროლოდ და არ უნდა, რომ ამიერკავკასიაში სხვა მსოფლიო ძალები გამოჩნდნენ, პირველ ყოვლისა — არ უნდა, რომ ამიერკავკასიაზე გაიაროს მაგისტრალურმა, ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა გზამ შუაევროპა-ამიერკავკასია-შუააზია-შორეული აღმოსავლეთი, რომელიც მალე იქცევა მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალად და რუსეთს სამუდამოდ გადაუკეტავს ახლო აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის შესაძლებლობას. ამისთვის მას სჭირდება, შავ ზღვას მოსწყვიტოს საქართველოც (სოხუმი-ბათუმის მთელი ზოლის ხელ

გაგრძელება მე-4 გვ.

სარედაქციო საბჭო

რედაქტორი: 93-20-36,

600 კუპონი

# „ახლადგამომცხვარ პოლიტიკოსებს შევახსენებ, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში მხოლოდ ხუთი პარტია არსებობდა“

## (გვესაუბრება ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი)

საქართველოში გაჩაღებული შეიარაღებული ბრძოლა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის კლასიკურ ფორმებში ვერ თავსდება. ამიტომ სხლად მოაზროვნე ადამიანები მას აღიქვამენ როგორც ლიბანიზაციას, სომალიზაციას და სხვა ანალოგიური მოვლენის სახით.

სამოქალაქო ომს ძირითადად იწვევს სოციალურ ძალთა ანტაგონიზმი. განსხვავებული მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი ჯგუფების, პოლიტიკური პარტიების დაპირისპირება. როცა მშვიდობიანი საშუალებებით არ ხერხდება კომპრომისი, დაპირისპირებული ძალები მიმართავენ იარაღს, შეიარაღებული ბრძოლით ცდილობენ ხელისუფლების მოპოვებას და თავის პროგრამის განხორციელებას.

მართალია დღევანდელ საქართველოშიც იგრძნობა სოციალური აფეთქების საშიშროება, მაგრამ შინა ბრძოლა ეკონომიკური გაჭირვების საფუძველზე არ დაწყებულა. ჩემი ღრმა რწმენით, სამოქალაქო ომის ფატალური აუცილებლობა არ არსებობდა. ეს ტრაგედია საბედისწერო შეცდომების, ზოგიერთი პარტიების და პიროვნებების დანაშაულებრივი ქმედების შედეგია.

ქართველმა ხალხმა, ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებულმა მრავალპარტიულმა დემოკრატიამ საკმაოდ კარგად გამოიყენა XX ს-ის 80—90-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია; გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, წარმატებით დაიწყო ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. მაგრამ ეროვნული მთლიანობა მალე დაირღვა, შინაპოლიტიკური წინააღმდეგობები უკიდურესად გამწვავდა.

მრავალპარტიული დემოკრატია საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების, პოლიტიკური კულტურის ამაღლების შედეგია. მაგრამ საქართველოში დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესმა, შეიძლება ითქვას, პათოლოგიური ხასიათი მიიღო, მოკლე ხანში შეიქმნა ასზე მეტი პარტია, მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. საქართველომ ამ მხრივ უკან მოიტოვა თანამედროვე ქვეყნის ყველა დემოკრატიული სახელმწიფო.

ახლადგამომცხვარ პოლიტიკოსებს შევახსენებ, რომ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ), მხოლოდ ხუთი პარტია არსებობდა და ამის გარდა დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა დღეებში შეიქმნა რამდენიმე მომენტალური ჯგუფი დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების მიზნით. მიუხედავად ამისა, თედო ღლონტი და სხვა სხლად მოაზროვნე მოღვაწენი მიიჩნევდნენ, რომ ლიდერებისა და პარტიების სიმრავლე დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს ნორმალური პოლიტიკური განვითარების, ერის კონსოლიდაციის საქმეს. დღეს კი ნაწვიმარზე, სოკოსავით მომრავლებულ პარტიათა ლიდერები ამაზე ნაკლებად ფიქრობენ, მათი უმრავლესობის ქმედებას ძირითადად განსაზღვრავს პირადი ამბიციები და კარიერისტული მისწრაფებანი.

არცთუ უსახელო დისიდენტმა ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტის, სახელმწიფოს მეთაურის ძირითადი ფუნქცია ვერ შეასრულა. ვერ დადგა ზეპარტიულ პოზიციაზე, ვერ იქცა ქართველი ერის მთლიანობის სიმბოლოდ. პირიქით, მან თავისი პოპულისტური პოლიტიკით, გაუაზრებელი განცხადებებით, ოპოზიციონერთა მიმართ უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებით გააძლიერა შინაპოლიტიკური დაძაბულობა, პარტიების დაპირისპირება, გამოიწვია ერის გახლეჩა. ასეთ პრეზიდენტს ხალხი, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ აიტანდა. აუცილებელი გახდა მისი გადაყენება.

დაპირისპირებულმა მხარეებმა ვერ გამოიჩინეს სიფრთხილე, წინდახედულება. ვერ განჭვრიტეს, თუ რაოდენ საშიში იყო სამომავლოდ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში შეიარაღებული ძალის გამოყენების პრეცენდენტის შექმნა. სწორედ ამას მოჰყვა სამოქალაქო ომის ესკალაცია, რომელმაც არა მარტო ერი გახლიჩა, არამედ შექმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხეც.

მოვლენათა განვითარების ამ ბოლო ეტაპზე ექსპრეზიდენტმა კვლავ დანაშაულის ტოლფასი შეცდომა დაუშვა; ალიანსში შევიდა არძინბასთან, კავკასიელ კონფედერანტებთან, ჩეჩენი ბოევიკები ჩამოიყვანა სამეგრელოში და უცხო ძალის ინტერვენციით ცდილობს თავისი ხელისუფლების აღდგენას. ასეთ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ ჩანდა და სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება სნგ-ში გაწევრიანების თაობაზე. ასეთი იძულებითი ღონისძიება და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რამდენიმე შეზღუდვა ასატანია. რადგან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა ხელს შეგვიწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და შინაგანი მშვიდობის დამყარებაში. იზოლაცია დამღუპველია. თუ შინაპოლიტიკური დაშლილობა და ბრძოლა არ აღმოიფხვრა, მსოფლიოს ცივილიზებული ერების სისტემაში არავინ მიგვიღებს, მატერიალურ და მორალურ-პოლიტიკურ დახმარებას არავინ გაგვიწევს.

ამ მეტად კრიტიკულ მომენტში საქართველოს დაპირისპირებულმა მხარეებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ ერისა და ქვეყნის წინაშე; არ უნდა სცადონ საომარი მოქმედების მასშტაბის გაფართოება, ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ შინაგანი ზავის დადების, კომპრომისის მიღწევისთვის: ვინც [illegible] რიგების წინააღმდეგია, „პოლიტიკური ცხოვრების მიღმა უნდა დადგეს, აშკარა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ მართლმსაჯულების წინაშე. მათ გარეშე უნდა შეიქმნას ეროვნული ერთიანობის, თანხმობისა და ხსნის დროებითი კოალიციური მთავრობა. მიზანშეწონილია მომავალი წლის გაზაფხულზე ჩატარდეს დამფუძნებელი კრების არჩევნები. მანამდე კი ხელახლა უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების რეგისტრაცია. დროა ყველამ შეიგნოს, რომ საქართველოში, სადაც მხოლოდ ორი კლასი, ერთი სოციალური ფენა და ორიოდე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სოციალური ჯგუფი არსებობს, არ არის ათეულობით პოლიტიკური პარტიების შექმნის საფუძველი და საჭიროება. სპეციალურმა კომისიამ პარტიების რეგისტრაცია უნდა მოახდინოს არა სახელწოდების განსხვავებული ნიუანსის, არამედ პროგრამის მიხედვით. გამოკვეთილი მსოფლმხედველობა და პროგრამა კი არ შეიძლება იყოს ბევრი. საქართველოსთვის სავსებით საკმარისია ოთხი-ხუთი სოლიდური პოლიტიკური პარტია.

5 ნოემბერი, 1993

### ინფორმაცია

ამა წლის 8 ნოემბერს, თბილისში, დაფუძნდა საქართველოს ნაციონალ-კავკასიური პარტია (ქართველ ფუნდამენტალისტთა ალიანსი). ყრილობამ მიიღო პარტიის პლატფორმა და წესდება. სნკპ-ს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიანმცოდნეობის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი გიორგი ნანუაშვილი.

**სნკპ-ს პრეს-სამსახური**

---

### სიტყვა სტუდენტობას

# მოვლენა, პრობლემა, ომი

თუ გავაანალიზებთ, რა გზით ხდება წმინდა მოვლენების გაყალბება, მისგან მოწყვეტა, დავრწმუნდებით, რომ ეს ხდება სუბიექტური შეგრძნების დონეზე მისი დაყვანით, საუცილოდ ფეხს იდგამს ქაოსი, რაც ადამიანთა გარემომცველ სამყაროში იმკვიდრებს ადგილს. ეს გარკვეული სულიერი მდგომარეობაა, ცალკეული პიროვნებისა და ამ ერთეულებისგან შემდგარი საზოგადოების ცნობიერებას რომ წამლავს. დაცემის ამგვარ გზაში გარკვევისას მკაფიოდ ჩანს, რომ სწორედ ამ მოდელში ჯდება თანამედროვე საქართველოს ტრაგიკული ისტორიული სინამდვილე. ჯერჯერობით ამ მოდელის სტრუქტურის ჩამოყალიბების თავისებურებებს შევეხოთ, რაც აბსოლუტურად ორგანულად მოირგებს შემდგომ კონკრეტულ მაგალითს ქართული სინამდვილიდან.

ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვაგვარად შეფასების პრაქტიკა მუდამ არსებობდა. ხშირად ეს მოვლენები ამგვარი განმარტების შედეგად სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო არსის გამომხატველი იყო. თუ დავაკონკრეტებთ, ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება ბოროტი და კეთილი ნიშნის ქვეშ განიმარტოს. გააჩნია, ვისთვის რა არის ამოსავალი წერტილი მისი შეფასებისას. უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ ყოველი მოვლენა არის პრობლემაც. მოვლენის არსი და შინაარსი მას როგორც პრობლემის არსსა და შინაარსს ნაწილობრივ განსაზღვრავს, მაგრამ მოვლენის პრობლემად გადაქცევის საკითხში ფიგურირებს ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი. მოვლენა თავისთავადი ობიექტური რეალობაა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს (რა თქმა უნდა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენა განპირობებადობის ნიადაგზე აღმოცენდება, მას მოვლენების რაღაც ჯაჭვი განაპირობებს). ამგვარად, ცნება თავისუფალი ობიექტური რეალობისა პირობით ხასიათს ატარებს, პრობლემა კი არ არსებობს როგორც დამოუკიდებელი ობიექტური რეალობა. ეს ეხება ნებისმიერი მასშტაბის პრობლემასაც, რადგან მის აღმოცენებაში მონაწილეობს სუბიექტური ძალა. მოვლენა არსებობს თავისთავად, პრობლემად კი იგი იქცევა მას შემდეგ, რაც ადამიანი ეხება მას და იწყებს მის ანალიზს. სწორედ ადამიანია ის სუბიექტური ძალა, რომელიც მოვლენას მასზე ყურადღების მიპყრობის გზით გადააქცევს პრობლემად. ამგვარად, მოვლენა არსებობს ადამიანის გარეშე, ხოლო პრობლემა ადამიანის გარეშე არ არსებობს. თუ რატომ ჯდება ყოველი მოვლენა პრობლემის კონტექსტში ადამიანისთვის ანუ იქცევა მსჯელობის საგნად, ეს, ალბათ ძალზე გრძელი პასუხისთვის გამიზნული კითხვაა. ადამიანს არ შეუძლია დარჩეს განცალკევებით მოვლენისგან და არ შეახოს მას ხელი, რადგან ყოველი მოვლენა გარკვეულ იდუმალებას ფარავს თავის თავში, ხოლო ადამიანს გააჩნია თავდაცვის უნარი, რაც მას აიძულებს შიშის გრძნობა გაუჩინოს ყოველივეს მიმართ, რის შესახებაც არა მოეხსენება რა და ეუფლება მისი შეცნობის სურვილი. ორივე მიზეზის გამო ადამიანს სურს, ყველაფერს, რასაც დაინახავს, ან რის შესახებაც გაიგონებს, შეახოს კიდეც ხელი, შეიმეცნოს იგი. ეს პროცესი კი უცილებლად არის დაკავშირებული მოვლენის პრობლემად გადაქცევასთან და მაშინ ადამიანისთვის სიმშვიდის მოპოვების პირველი ეტაპი დაძლეულია: მან ხომ სივრცეში გამოკიდებულ მოვლენას ხელი ჩასჭიდა, თუნდაც შეუმეცნებადი იყოს ის, ამით, რა თქმა უნდა, იგი მშვიდდება, ადამიანმა ის მაინც გაარკვია, რომ იდუმალთანა აქვს საქმე. ამის დაფიქსირებამ ბევრი შესძინა მას. ზოგი მოვლენა არ არის ასეთი საიდუმლოებით მოცული, მაგრამ გაურკვევლობის დონეზეა, ზოგი რამ კი სრულიადაც ნათელია, მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის დროს პროცესი ერთი გზით წარიმართება. — ადამიანს სურს ყველაფერს მისწვდეს. რაკი ზოგი რამ გაურკვეველია, ადამიანისთვის იგი პრობლემის სფეროში გადადის, პრობლემა კი არის საკითხი, რომელიც თავის თავში პოტენციურად შეიცავს მერყეობას, ხანგრძლივ პროცესს წინააღმდეგობრივი ძალების ბრძოლისას, კამათს, მსჯელობას, მოკლედ რომ ვთქვათ — უამრავ ნიუანსს. ზოგი პრობლემა კი მართლაც მარადიულია, მათ საოცარი მოვლა, ფაქიზი დამოკიდებულება სჭირდება. ადამიანს არ შეუძლია ყველა მოვლენა პრობლემად არ აქციოს. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ, თუკი რამე მოვლენის შესახებ ითქვა, დაფიქსირდება ის არა როგორც ობიექტური რეალობა, არამედ უთუოდ სუბიექტურ პრიზმაში გატარდება. ამას მოჰყვება მასზე მსჯელობაც. მოვლენის თავდაპირველი დაფიქსირება ხომ სუბიექტის მიერ ხდება, ხოლო სუბიექტური აზრი უკვე პოზიციაა. ამასთან, ყველას თავისი პოზიცია აქვს და ის განსხვავება, რაც ამ პოზიციებს შორის ჩნდება, ქმნის სწორედ პრობლემას. თუ ამ მსჯელობას ინერციით გავყვებით, შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ პრობლემა შექმნილია არა ერთი, არამედ ბევრის მიერ. მაგრამ შეიძლება თუ არა, რომ ერთი ადამიანის ინდივიდუალურმა აზრმა შექმნას მოვლენისგან პრობლემა? რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ყოველი მოვლენა ადამიანს აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ხედავს მის უკან კითხვის ნიშანს, საგანს, რომელიც ბურუსშია და შეუმეცნებადი, ხოლო კითხვის გაჩენა უკვე პრობლემის გაჩენას ნიშნავს. აღვნიშნეთ, რომ მოვლენის ირგვლივ აზრი უჩნდება ყველას და სახეზეა მრავალი პოზიცია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პრობლემა, დასმული ინდივიდის მიერ, გადავა და დაისმება საზოგადოებაში. მაგრამ მთელი ამ პროცესის დროს მოვლენის არსი სულ უფრო ჩქმალება და რამდენ ადამიანზეც გადანაწილდება ის პრობლემის ან კითხვის სახით, რომ ყოველი ადამიანი ამ მოვლენის მისეული ინტერპრეტირების დროს ჩასში თავის თავს იცავს და ბოლოს მსჯელობა დაიყვანება იმ კონდიციამდე, როცა ხდება მოვლენისგან მოწყვეტა, რაც მისგან ძლიერ დაშორებას გულისხმობს, და კამათი სუბიექტური ხასიათების შეგუების თუ ვერშეგუების, შეთანხმების თუ შეუთანხმებლობის თამაშს ემსგავსება. გვგონია, რომ პრობლემის ირგვლივ ვმსჯელობთ, და აღმოჩნდება, რომ ეს ბიოფსიქოლოგიურ დონეზე გადატანილი კონფლიქტია. ადამიანთა ხასიათები, მოგეხსენებათ, ქაოტურ სისტემას არ ქმნის. ხდება ხასიათების დაჯგუფება ხშირად სოციალური, მორალური ნიშნის, მსგავსი მრწამსის და სულისკვეთების მიხედვით, ხოლო ამ დროს მოვლენა რჩება მოვლენად. ის განუყოფელია პოზიციებად, ინდივიდუალურ აზრებად. იგი ინარჩუნებს მთლიანობას. ალბათ, ამ მთლიანობაშია მოვლენის იდუმალი ძალა, რომელიც გვნუსხავს და ფლობს ჩვენს ყურადღებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკუთრივ მოვლენები და „პატარა“ ადამიანის ძალა მათ შესახებ სხვადასხვა საფეხურეობრივ დონეებზეა განლაგებული. აღვნიშნეთ, რომ მოვლენაზე მსჯელობისას მის არსს ვაქუცმაცებთ და საბოლოოდ ვშორდებით მის პირველად იდეას. ეს კი ხდება, რადგან აშკარაა მოვლენის დიდი უპირატესობა ჩვენ მიმართ, რომელმაც გაგვქრია კიდეც, როდესაც მისი სრული ამოცნობა განვიზრახეთ შემდგომ ხელი მივყავით მის დასახიჩრებასაც. მოვლენამ ჩვენი თავი დაგვანახა სხვასთან და სხვისი ჩვენთან მიმართებაში. თუკი უმნიშვნელო ან ნაკლებმნიშვნელოვან, თავისი არსით მცირე მასშტაბის მოვლენასთან გვაქვს საქმე, ამის გადაწყვეტა პრობლემის სახით სირთულეს არ ქმნის. ალბათ ასეთ შემთხვევაში ადამიანს გააჩნია მოვლენის მიმართ უპირატესობა, მაგრამ მოვლენა, რომელსაც ჩვენს მიმართ დიდი უპირატესობა აქვს, ჩვენზე მაღლა დგას. ამან გამოიწვია, რომ მასზე მსჯელობამ კონფლიქტამდე მიგვიყვანა, რამეთუ ვერავინ შეძლო მისი, როგორც მოვლენის, სრულად ათვისება, ყველამ დაუშვა შეცდომა და იგი გასაღდა სუბიექტურ პოზიციად. ყველას მიერ დაშვებულმა შეცდომამ კი პრობლემა დაანგრია შიგნიდან და წარმოშვა კონფლიქტი. მართლაც რომ აშკარაა მოვლენების გარკვეული იერარქიული კიბის არსებობა და ეს კიბე იმ დროს, როდესაც მოვლენა ადამიანზე გაცილებით მაღლა დგას არსის სიდიადით, აშკარად დაღმავალი მიმართულებით მიემართება ქვევით ადამიანისკენ. რთული და მასშტაბური მოვლენის არსის ვერამოცნობა ხდება მიზეზი პრობლემის შიგნით ომისა, მიზეზი იმისა, რომ ეცლებათ იგი ხელიდან და შემდგომი ეტაპი კი, როგორც აღვნიშნეთ, პირადი ანგარიშსწორების ნიშნის ქვეშ წარიმართება. ყოველივე ზემოთ თქმული, შესაძლოა, გავავრცელოთ კონკრეტულ მოდელზე. მაგალითისათვის ავიღოთ და იდუმალ, დიად მოვლენად მივიჩნიოთ სამშობლოს სიყვარული და მისი თავისუფლება. ეს წმინდა რამაა, სწორედ ამიტომაც რჩება მარადიულ კატეგორიად. იგი შეუმეცნებადია ბოლომდე და გზა მისი რეალიზაციისა — გაურკვეველი. იგი ჩვენზე მაღლა დგას, ხოლო ჩვენ კი მასზე არასწორი მსჯელობით და მოვლენაში აუცილებლად ბოლომდე წვდომის სურვილით ვღუპებით. ის, რომ მხოლოდ ჩვენ შევიმეცნეთ ყველაზე სწორად, უკვე ბადებს შეცდომას და იგი გადამრავლდება სხვათა შეცდომებზე. ფინალი კი ომია. ასეთია გარდაუვალი შედეგი იდუმალი და წმინდა მოვლენების ინდივიდუალურ დონეზე გააზრების, მათი ბოლომდე სრულად შეცნობის და რეალიზაციის ხარბი სურვილისა. ჩვენ კი ყველას გვავიწყდება ერთი რამე: არ შეუძლია ადამიანს ჰქონდეს პრეტენზია, რომ ყველაზე უკეთ მან შეიმეცნა მოვლენა, რომელიც ცის გუმბათიდან გადმოჰყურებს ზევიდან. საქართველომ დღეს განიცადა სწორედ ასეთი დაცემა, რამაც იგი სისხლში ამოსვარა, სამშობლოს სიყვარული და თავისუფლების იდეა კი დარჩა თავისთვის, როგორც მარადიული, უცვლელი ობიექტური რეალობა. კიდევ კარგი, რომ მისი შებღალვა, როგორც იდეისა, სისხლით შეუძლებელია. ამ მოვლენის ჩვენგან დამოუკიდებელი თავისთავადობა მუდამ გვაძლევს შესაძლებლობას, შევიმეცნოთ პირველ რიგში საკუთარი თავი, მივუახლოვდეთ იდეას, ხოლო ის, შევიმეცნებთ თუ არა სწორად მას ან აღმოვჩნდებით თუ არა დამარცხებულნი ძირს, ჩვენზე იქნება დამოკიდებული. დღეს კი ამ იდეამ, მასზე ჭუჭყიანი ხელებით მიკარების გამო სისხლის და სირცხვილის გუბეში მოგვისროლა. ჩვენ დამარცხებულნი აღმოვჩნდით არა მტრების მიერ, არამედ წმინდა იდეის წინაშე. მწარეა მოვლენის აბსტრაქტული დონიდან კონკრეტულ მიწიერებამდე დასვლის ტრაგიკული შედეგები. მოვლენა მარადიული იდეის სახით, პრობლემა და კონფლიქტი — ეს არის ადამიანის მიერ შექმნილი გარკვეული პროცესის სამი რგოლი. ჩვენ ყველაზე მეტი სიფრთხილე გვმართებს მეორე რგოლის მიმართ, რადგან ეს რგოლი არის წონასწორობის წერტილი, რომელმაც მოვლენა ჩვენთვის ხელშესახები გახადა პრობლემის დონეზე დასმის გზით. უგუნურების შემთხვევაში კი ერთი ნაბიჯია ომამდე (ომში პირველ რიგში იგულისხმება სულიერი კონფრონტაცია, რის რეალურ გამოვლინებასაც შემდგომ ფიზიკური ომი ქმნის). ჩვენ გადავდგით ეს ნაბიჯი. ქართველებს არ გვახასიათებს წონასწორობის წერტილისადმი პატივისცემა. მაგრამ, რადგანაც პრობლემის რგოლს გააჩნდა ინერციის ასეთი სასტიკი, დამანგრეველი ძალა და წონასწორობის წერტილიდან საკმაოდ შორს გადაგვისროლა, როგორც ჩანს, თვით იდეიდან პრობლემის რგოლზე გადასვლის პროცესში იქნა დაშვებული შეცდომები, რამაც ამ რგოლს წონასწორობის წერტილის დაცვის გარანტია ვერ მიანიჭა. დიდი ფიქრი გვმართებს ყველას. ამიერიდან მაინც შევეხოთ სუფთად წმინდა იდეას, მოვლენას, რომელიც სამშობლოს და თავისუფლების არსს გამოხატავს, სანამ საერთოდ დაგვავიწყდებოდეს მათი არსებობის შესახებ. სამშობლოს იდეას არ სჭირდება ცალკეული ადამიანების თავში ავარდნილი აზრი იმის შესახებ, რომ მათ სხვაზე მეტად უყვართ საკუთარი ქვეყანა. მას სჭირდება სიყვარულის ერთიანი ენერგია, რომელიც ინდივიდუალური გრძნობების განზავებას შესძლებს; რომელშიც ყველას სიყვარული იქნება გამთლიანებული ისე, რომ არ იქნება გარჩევა, ვინ მეტი ენერგია შესძინა ამ მთლიანობას და ვინ ნაკლები. ეს მთლიანი ენერგია ზვარაკის სახით უნდა მივართვათ ჩვენგან განცალკევებით მდგარ იდეებს, რათა მონანიება შევძლოთ. პირველი ბოდიში სწორედ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ სამშობლოს იდეას უნდა მოვუხადოთ.

გვანცა ღვინჯილია

# საქართველო დღეს: ანალიზი, პროგნოზი, ხსნის გზა

ნოდარ ნათაძე

გაგრძელება

თგდების გზით), დანარჩენი ამიერკავკასიაც და მის უკან მდგარი შუა აზიაც, რითაც იგი განუყოფლად ბატონდება ხმელეთის ამ ნაწილზეც (რაკი ზღვისკენ გზას უკეტავს) და შავ ზღვაზეც (რაკი მასზე ამ მზარდ ეკონომიკურ და სტრატეგიულ ძალას აღარ უშვებს). ამისთვის მას სჭირდება საქართველოს ან დაპყრობა, ან უმნიშვნელო და დაქუცმაცებულ მიკრორეგიონად ქცევა, რათა მისი მუდმივი მანიპულირება შეძლოს. საქართველოს მიერ მიცემული ვერავითარი პირობა — ვერც სიტყვიერი და ვერც ხელშეკრულების სახით გაფორმებული, თუნდაც საქართველოს „ესენგეში" შესვლის ფორმით — ვერ მისცემს რუსეთს იმის გარანტიას ან იმედს, რომ საქართველო მისი ნების ერთგული შემსრულებელი და მისი საყრდენი იქნება. ამიტომ რუსეთი ყოველთვის არჩევს საქართველოს დამორჩილებას, დაჩოქებას და დაქუცმაცებას, თუკი ამის საშუალება ექნება, ნაცვლად მასთან მოლაპარაკებისა და მისი მომხრობისა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ

ა) რუსეთის პოლიტიკა საქართველოს თანამიმდევრული ნგრევისა, აფხაზეთის წართმევის ჩათვლით, გაგრძელდება იმ შემთხვევაშიც, თუ „ესენგეში" ვიქნებით, და

ბ) რუსეთის ზემოხსენებული განზრახვის ხელის შეშლას სჭირდება ჩვენი ქვეყნის მხრიდან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რაღაც პოზიციაზე გამაგრება მასთან ურთიერთობაში და თავდაცვის რაღაცა ზღურბლზე გაჩერება, რათა შევძლოთ მასთან მოლაპარაკების წარმოება, როგორც პარტნიორმა პარტნიორთან, და შეთანხმებათა ოპტიმალური პირობების ძებნა.

ცხადია, რომ რუსეთის ზემოხსენებულ გეგმაში ვერ შევა საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნება. მაშასადამე, საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნება უნდა იყოს ერთ-ერთი პირობა საქართველო-რუსეთის ისეთ მოლაპარაკებაში, როცა ორივე მხარე იძულებულია, ერთმანეთს მეტ-ნაკლები ანგარიში გაუწიოს.

მეორე ის გახლავთ, რომ აფხაზეთის „პრობლემის" ანტიქართული გადაჭრა რუსეთისთვის არის თავისი ძალის ილუსტრაციაც და თავისი „პროკავკასიური" და „პროკონფედერაციული" ნების ილუსტრაციაც ჩერქეზ-ადიღეელების, ჩეჩნებისა და ზოგი სხვა მუსლიმანი კავკასიელის თვალში. რუსეთის პოლიტიკამ დიდი გამარჯვება მოიპოვა, როცა კავკასიელი ხალხები, რომლებიც ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ ჩვენს ბრძოლაში რუსეთის უღლის გადაგდებისათვის (და იქნებიან კიდეც), ჩვენ მოწინააღმდეგებად აქცია. საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნებით რუსეთი

ა) პირობას უტეხს ზემოხსენებულ მუსლიმან კავკასიელებს, რომელთაც მანვე საქართველოზე ლაშქრობისაკენ უბიძგა

ბ) ამ ხალხთა თავისუფალ-ეროვნულ ენერგიას მიმართავს განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ რუსეთის წინააღმდეგ, მას თბილისის ნაცვლად როსტოვისკენ და კრასნოდარისკენ აძლევს გეზს.

მესამე ისაა, რომ აფხაზეთის სანაპირო რუსეთს რეალურად სჭირდება თავისი რეკრეაციული ინდუსტრიისათვის, ხოლო სუბტროპიკული მეურნეობა — პროდუქტებით მომარაგებისათვის.

მეოთხე და უკანასკნელი გარემოება კი ის გახლავთ, რომ რუსეთისთვის ხელსაყრელი არაა თვით პრობლემის გადაწყვეტის, ანუ მისი მოხსნის ფაქტი. მას ურჩევნია, პრობლემა საქართველოსთვის მუდმივი იყოს და რუსეთის მიერ მისი გამოყენებაც საქართველოზე ზეწოლისთვის — მუდმივი.

თქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მოვლენების ასეთი განვითარება: (ვასახელებთ რამდენიმე ვარიანტს)

ა) რუსეთი ან არ წყვეტს დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის სტიმულირებას, ან წყვეტს მას, მაგრამ აფხაზეთს არ თმობს და გვაჩერებს ენგურთან.

ბ) რუსეთი თმობს აფხაზეთს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ — მაგალითად, იგი ქართველ მოსახლეობას უშვებს მხოლოდ გალის ზონაში, ან უშვებს მას ზოგ სხვა ზონაშიაც (ოჩამჩირის, გულრიფშის ზონები), მაგრამ დაუცველს გვატოვებინებს მას აფხაზების წყალობის ანაბარა, ან უშვებს ქართველი მოსახლეობის ნაწილს, სამაგიეროდ იღებს თანხმობას მაჰაჯირების და კავკასიელი მუხლიმების, აგრეთვე კაზაკებისა და რუსების დასახლებაზე. პოლიტიკურად იგი ცნობს საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთში, მაგრამ გვითანხმებს მის შემოსვლას საქართველოს შემადგენლობაში ფედერაციის წესით, სამუდამოდ იტოვებს „მშვიდობისმყოფლის" როლს და ასე შემდეგ.

ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში რუსეთი ღებულობს საქართველოს თანხმობას დარეგულირების რუსულ გეგმაზე, რითაც ჩვენ მისი შემოთავაზებული სამშვიდობო პირობების გადასინჯვის შესაძლებლობას ვკარგავთ მომავალში. ცხადია, რომ, თუ დარეგულირების ამ წესს დავადგებით, მით უფრო, თუ „ესენგეში" ვიქნებით, რუსეთი არასოდეს არ მოგვცემს უფლებას, აფხაზეთის ან ცხინვალის ვითარების დარეგულირებისათვის ძალა გამოვიყენოთ.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს არ შევუთანხმდით და იგი აგრძელებს აფხაზეთში გამოუცხადებელ ომს ჩვენს წინააღმდეგ (აგრეთვე ცხინვალის ზონაში და კიდევ ახალ ზონებშიც)? მაშინ ჩვენ ვაფიქსირებთ პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალებებით რუსეთის აგრესიას ჩვენ მიმართ და საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით ვიბრძვით მისი შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანისთვის საქართველოდან (გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება მაშინ, როცა საკითხი მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარს ეხება). ჩვენ ვქმნით ჩვენ შეიარაღებულ ძალას საქართველოს იმ ნაწილში, რომელსაც ვაკონტროლებთ, და ჩვენი ტერიტორიის დაბრუნების ოპერაციას ვახორციელებთ მაშინ, როცა საკმარისად შევძელით რუსეთის მონაწილეობის გამოთიშვა ამ ზონების სამხედრო ოპერაციებიდან. ამ გეგმის წარმატება დამოკიდებულია ორ პირობაზე:

ა) ჩვენ უნდა შევძლოთ პოლიტიკური გზით იმის მიღწევა, რომ რუსეთის ჯარი გავიდეს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილიდან, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. ეს სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთს წამგებიანი მდგომარეობა ექმნება საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც აგრესორს.

ბ) რუსეთს არ უნდა შეეძლოს საქართველოსგან იმის მიღება, რაც სჭირდება (ნეიტრალიტეტი, „ბუფერულ" სახელმწიფოდ ყოფნა და სხვა. შესაძლებლობები მრავალია), იძულების წესით, არამედ ამისათვის მას უნდა სჭირდებოდეს დათმობაზე წასვლა, ჩვენი ტერიტორიების დესტაბილიზაციაზე ხელის აღების ჩათვლით. ესეც მიღწევადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთს უკვე ხელი აქვს აღებული როგორც აფხაზეთის მიერთებაზე თავის სახელმწიფოსთან, ისე აფხაზეთის ოფიციალურ მოწყვეტაზე საქართველოსგან, ვინაიდან ეს არ დაუშვეს სხვა ქვეყნებმა.

რა თქმა უნდა, ამ გეგმის განხორციელება გულისხმობს საქართველოს ორგანიზაციას და მისი შესაძლებლობების რაციონალურ მობილიზაციას, წესრიგის დამყარების ჩათვლით, რის უნარსაც ვერ ამჟღავნებს დღევანდელი მმართველი გუნდი, მაგრამ ეს უნდა შეძლოს ახალი ადამიანებით დაკომპლექტებულმა გუნდმა.

ამ გეგმას მისი სიძნელის მიუხედავად ორი უპირატესობა აქვს:

**პირველი.** იგი ერთადერთია. მოპირისპირე გეგმას, სახელდობრ, რუსეთის წინაშე უპირობო კაპიტულაციის გეგმას, რომელსაც საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდი გვთავაზობს, მივყავართ საქართველოსთვის მიუღებელი მოთხოვნების წაყენებამდე რუსეთის მიერ, ანუ საბოლოო ჯამში არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ, არამედ საქართველოს გეოპოლიტიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ძირგამოთხრისაკენ, რომლის შედეგი გამოუსწორებელი იქნება.

მეორე. ეს გეგმა შეესაბამება მსოფლიო ისტორიული განვითარების რეალურ პერსპექტივას, რომელიც ჩვენს რეგიონში რუსეთის გავლენის კლებას და დასავლეთის მზარდ შემოღწევას გულისხმობს.

**როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, რუსეთი შეეცდება ჩვენზე შემოტევა გააგრძელოს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ შევუთანხმდებით, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ მას შევუთანხმდებით მის წინაშე კაპიტულაციის გზით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კაპიტულაციის შემთხვევაში მას ლეგალური საფუძველი ექნება ამ შემოტევისათვის.**

## III. ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და წესრიგის აღდგენა

ეკონომიკაში კრიზისის დაძლევას და წესრიგის აღდგენას სჭირდება ერთგული და ბრძნული სახელმწიფო ადმინისტრაცია (მთავრობა), რომელიც ჩვენს ქვეყანას დღეს არ ჰყავს. საჭიროა ახალი აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) შექმნა, მაგრამ ვინაიდან ეს დროს მოითხოვს, საჭიროა ახლავე განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე უფრო მეტად აქვს ან შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჩვენი სახელმწიფოებრიობის საბოტაჟს, კერძოდ ეროვნულ ბანკზე, პურით მომარაგებაზე, ეკონომიკაზე საერთოდ, წესრიგის დაცვაზე. ეს შესაძლოა განხორციელდეს თითოეულ ამ სფეროში საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი პირის — კომისრის დაყენების გზით, რომელსაც ამ დარგის კონტროლის უფლება ექნება. კომისრები აირჩევა მოკლე ხნით.

## IV თავდაცვის საქმე.

**საქართველოს შეიარაღებული ძალების სავალალო მდგომარეობის მიზეზია სახელმწიფოს არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია საერთოდ.** ეს არაორგანიზებულობა ვლინდება

ა) უცხო აგენტურასთან ბრძოლის, ანუ კონტრდაზვერვის სამსახურის თითქმის არარსებობაში

ბ) საინტენდანტო სამსახურის უკონტროლობაში, მატერიალურ დანაშაულებსა და დატაცებაში.

გ) დისციპლინის სისუსტეში საერთოდ

დ) სათავდაცვო წარმოების სისუსტეში, უდისციპლინობაში, მისდამი სახელმწიფოს არასაკმარის ყურადღებაში

ე) სამხრად სახელმწიფოს ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობაში, საომარი მდგომარეობის ზურგში მყოფთა შეგნებამდე ვერმიტანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ.

ამ ნაკლოვანებებს ვერ გაასწორებს ვერაფერი გარდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის საერთო შეცვლისა ახალი, ამ ამოცანის სიმაღლეზე მდგარი ადამიანებით.

## V „ესენგეში"

### შესვლის წინადადება

„ესენგე" ... საყოველთაოდ აღიარებულია როგორც რუსეთის უკანონო იმპერიის ლეგიტიმაციის ანუ დაკანონების საშუალება. სსრკ-ს არ ჰქონდა ლეგიტიმური საფუძველი. იგი აშკარა ძალაზე დამყარებული გაერთიანება იყო. კერძოდ, საქართველოს შესვლა მასში არ ყოფილა დადგენილი საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლების არც კანონიერი, არც უკანონო ორგანოს (საქ. სსრ უზენაესი საბჭოს) მიერ. დამოუკიდებლობაგამოცხადებული და დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის მიერ მართული ქვეყნების შესვლა „ესენგეში," ანუ განახლებულ იმპერიაში, აკანონებს ამ უკანასკნელს ამ გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით რუსეთი აჰყვა დასავლეთის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს დაახლოებით 50-იანი წლების დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირის დაშლას („ჩაძრუვას ჩაყოლა სჯობიაო"), მაგრამ აჰყვა იმგვარად, რომ ამ დათმობის შემდეგ, ახალ საწყისებზე, ისევ ძველი ვითარება აღედგინა. ეს იურიდიულად თითქმის უკვე მოახერხა: უიდეოლოგიოდ და თითქმის უდიქტატუროდ ( ეს იგი, „დემოკრატიული" ფორმით), ერთიანი რეჟიმისა და შინაგანი ერთიანობის სიმულირების გარეშე მან თითქმის იმავე გეოგრაფიულ საზღვრებს მიაღწია, რაც სსრკ-ს ჰქონდა, აკლია მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო, რომლის ჩათრევითაც რუსეთი დაასრულებს (თუკი ეს შეძლო) შავი ზღვის დაუფლების, შუა აზიის დასავლეთისაგან მოწყვეტის, ახლო აღმოსავლეთის მეტნაკლებად ქმედითი კონტროლის შენარჩუნების გეგმას.

„ესენგეში" შესვლა რომ საქართველოსთვის სიკვდილია, ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი (გაზეთი „საქართველო" № 3 (68)), მაგრამ ძირითად მოტივებს კიდევ ერთხელ ჩამოვთვლით:

ა) საერთო თავდაცვა, საერთო საგარეო პოლიტიკა და საერთო ფინანსური სისტემა ნიშნავს საქართველოში საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმებას.

ბ) „ესენგედან" გამოსვლა პრაქტიკულად, შეუძლებელია (იხ. დებულების პარაგრაფი 9)

გ) „ესენგე" არ იცავს წევრ ქვეყნებს ომებისაგან სხვა წევრ ქვეყნებთან.

დ) „ესენგე" იტოვებს უფლებას, წევრ ქვეყნებში არეგულიროს „ეროვნული ურთიერთობები", ანუ მოაწყოს და მართოს ეთნოკონფლიქტები.

ვინაიდან უკვე ორი წელიწადია, რაც რუსეთს ხელი აქვს აღებული პასუხისმგებლობაზე თავისი წევრების საბრძოლო მოქმედებისთვის სხვა ქვეყნებში, ცხადია, რომ 2 და 3 პუნქტებში დასახელებული ომები, რუსი კაზაკი, კავკასიელი და რუსეთის ფედერაციიდან მოსული სხვა „ბოევიკების" მონაწილეობით იწარმოებს.

ე) საქართველოს ყოფნა „ესენგე"-ში ნიშნავს ფაქტობრივ იზოლაციას მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან და მის მუდმივ დარჩენას რუსეთის ეკონომიკურ ტყვეობაში, მაშასადამე — მუდმივ სიღატაკეში.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი დამატებითი გარემოება, რომელიც საქართველოსთვის „ესენგე"-ს სსრკ-ზე უარესად ხდის.

**სსრკ იყო ერთგვაროვანი სახელმწიფო, რომელშიც პოზიტიური ტოლიტიური ინიციატივა, ანუ ადამიანებისთვის მიმზიდველი სოციალური იდეები არ არსებობდა.** სსრკ სახელმწიფო მანქანა მუშაობდა და მუშაობა იცოდა მხოლოდ ერთი მიმართულებით — რეპრესიის მიმართულებით, ასე იყო რუსეთის იმპერიაც რევოლუციამდე. „ესენგე", რომელსაც იდეოლოგია აღარ აქვს და, ამგვარად, არც ყველასთვის სავალდებულო გმსოფლიო იდეებიც აქუხებს, აღარ იქნება ერთგვაროვანი სახელმწიფო. მას ექნება უფლებაც და საშუალებაც, რომ თავის სხვადასხვა ნაწილებში, არსებითად, სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური წყობა დაამყაროს, ეკონომიკური და პირადი თავისუფლება სხვადასხვა ზომით დაუშვას, ადამიანებს თავისუფალი სუნთქვის საშუალება სხვადასხვა დოზით მისცეს. „ესენგეში" რუსეთს ისევე ექნება საქართველოს ცხოვრების ყველა უჯრედში ჩარევის საშუალება, როგორც სსრკ-ში ჰქონდა, იგი ამას გამოიყენებს სხვათაშორის, იმისთვისაც, რომ მეტროპოლიაში უკეთესი და უფრო თანამედროვე (უფრო დემოკრატიული, უფრო რაციონალური, უფრო თავისუფალი...) ცხოვრება მოაწყოს, ვიდრე კოლონიებში. მაგალითად, შესაძლებელია, რომ რუსეთში მნიშვნელოვანწილად თავისუფალი ეკონომიკა იყოს განვითარებული, ხოლო საქართველოში ჯერ კიდევ წარმოების ჩამხშობი საგადასახადო და საბანკო სისტემამ იბატონოს. ამით რუსეთი ერთის მხრივ მიმზიდველობას შეიძენს კოლონიების აბორიგენთა თვალში. იგი გადატუმბავს რუსეთში ყველაფერს, რაც ღირებულია, ფინანსებითა და ხილით დაწყებული, ნიჭიერი და ლამაზი ადამიანებით დამთავრებული. სამაგიეროდ საქართველოში ბევრად უფრო მდიდარი, მომზადებული და გალაღებული კოლონისტებით შემოვა, ვიდრე ქართველები ვიქნებით. მეორე მხრივ, თავისი უპირატესობის წყალობით, რომელიც უკეთესი სოციალური და ეკონომიკური წყობით იქნება განპირობებული, თვით რუსები გახდებიან მიმზიდველნი არარუსებისთვის, რაც მკვიდრ საფუძველს შეუქმნის მათთან არარუსების ასიმილაციის პროცესს.

ამგვარად, „ესენგეში" შესვლა საქართველოსთვის არის არათუ დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, არათუ, პრაქტიკულად, განთავისუფლების პერსპექტივას მოკლებული ჩარჩენა იმპერიაში და იზოლაცია მოწინავე მსოფლიოსაგან, გარანტირებული სიღარიბე და სისხლიანი დიქტატურა, არამედ ამავე დროს რუსეთთან ასიმილაციის და საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვის გზაც, ქართველობის განუხრელი პროცენტული კლება საქართველოში და, შესაძლოა, საბოლოო ეროვნული მოსპობაც.

რუსეთის ზოგადი გეოპოლიტიკური გეგმა ჩვენი ქვეყნის მიმართ ზემოთ უკვე ვახსენეთ: ესაა ჩვენი ტერიტორიული დარღვევა, ჩვენი მოჭრა შავი ზღვისაგან, ჩვენი ფედერალიზაცია (ან კონფედერალიზაცია), ჩვენი დემოგრაფიული დასუსტება, ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოშლა იმ ზომამდე, რომ ჩვენში მიმდინარე ყველა პროცესის კონტროლი შეძლოს. ჩვენთვის ეს გეგმა მიუღებელია. მაგრამ შესაძლებელია სხვა ურთიერთობაც ჩვენსა და რუსეთს შორის, სახელდობრ, ნორმალური მეზობლური და ეკონომიკური ურთიერთობა, როგორც პარტნიორისა პარტნიორთან. **მაგრამ რუსეთი არასოდეს აირჩევს პირველის ნაცვლად ურთიერთობის ამ მეორე ფორმას თავისი ნებით. იგი მას აირჩევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველის განხორციელებას ვერ შეძლებს.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენგან წინააღმდეგობა უნდა შეხვდეს. დიახ, ჩვენს უკანდახევაში მის წინაშე, ჩვენს დათმობებსა და დამარცხებებში ჩვენ სადღაც უნდა გავჩერდეთ და მას თავდაცვის რომელიღაც ერთ ან მეტ ზღურბლზე უნდა დავუპირისპირდეთ და უნდა მოვიგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ის მოგველის, რაც ზემოთ დავასახელეთ, როგორც რუსეთის გეგმა. სხვა საკითხია, სად გავუწიოთ მას ეს წინააღმდეგობა. რომელი პოზიცია ავირჩიოთ ჩვენი თავდაცვის ზღუდედ, სადაც მის შემოტევას შევაჩერებთ და მოლაპარაკებაზე გადავალთ? ცხადია, უნდა შევარჩიოთ თავდაცვის ის ზღუდე, რომელიც სხვა ყველაზე უკეთესია. ასეთი ზღუდეა ჩვენი სრული იურიდიული დამოუკიდებლობის დაცვა, ვინაიდან ეს იურიდიული იარაღი ერთადერთი სრულფასოვანი იარაღია, რომელიც ჩვენ დღეს გაგვაჩნია. დიდი გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ რუსეთი დროშებს აღმართავს და გაშლილი ფრონტით შემოგვიტევს. იგი ამას არ იზამს, რადგან მსოფლიოს წინაშე თავისი სახის დაცვა დიდად უღირს. (ე. შევარდნაძეს რომ არ მოეწვია, მისი ჯარი დღეს ფოთსა და ზუგდიდში ვერ იპატრულებდა). რაც შეეხება უდროშო ომს, როგორიც აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში გაგვიმართეს, მას, თუ ორგანიზებული სახელმწიფო ვიქნებით, უნდა ვერეოდეთ კიდეც და პოლიტიკური მეთოდით უნდა ვზღუდავდეთ კიდეც. ასევე გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ რუსის ჯარს შეუძლია საქართველოში მუდამ იდგეს, თუ საქართველოს კანონიერმა მთავრობამ დასტური არ მისცა. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია რაღაცა არ დავუთმოთ მას, ან დავუთმოთ, და ამ ბაზაზე მასთან კაპიტულაციის კი არა, მოლაპარაკების პოლიტიკა ვაწარმოოთ. ჩვენ შეგვიძლია მასაც რაღაცა მოვთხოვოთ აფხაზეთიდან და ცხინვალიდან წასვლის ჩათვლით. ცხადია, ამას სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის დაცვისკენ მიმართულ პოლიტიკას გაატარებს, ასეთი პოლიტიკის გატარებას შეძლებს და ქვეყნის ხსნად მხოლოდ ასეთი პოლიტიკის გატარებას მიიჩნევს. საქართველოს დღეს ასეთი მთავრობა არ ჰყავს. უფრო მეტიც: დღეს საქართველოს ხელისუფლება იმ გამშველებელს ჰგავს თავის ქვეყანასა და მოსისხლე მტერს შორის, რომელიც მშვიდობას იმით აღწევს, რომ თავისიანს იჭერს და ხელს უბორკავს.

## VI ედუარდ შევარდნაძის მმართველობა

როდესაც 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებზე ე. შევარდნაძეს ხმა მისცა მონაწილე მოსახლეობის 99-მა პროცენტმა (ამათგან, ნაწილი იმ 87 პროცენტში შედიოდა, ვინც ხმა მისცა გამსახურდიას ერთი წლით ადრე), მისგან მოელოდნენ არა დემოკრატიას, არამედ ძალას და მმართველის უნარს. ამომრჩევლის მოლოდინი არ გამართლდა. შევარდნაძე ძლიერი მმართველი, ანუ ქვეყნის გამარჯვებისკენ წამყვანი მმართველი არ აღმოჩნდა. შევარდნაძის მართვის წელიწადნახევრის მანძილზე საქართველომ იმდენი დამარცხება განიცადა და იმდენი შეცდომა დაუშვა, რამდენიც ისტორიაში ცოტა სახელმწიფოს თუ ჰქონია ასეთ მოკლე ხანში. ეკონომიკური რესურსების დაუსჯელი დატაცება, დაუსჯელი ყაჩაღობა, განუკითხავი სამხედრო დამარცხებები დაუდევრობისა თუ ღალატის შედეგად, ქვეყნის დიდი ნაწილის გულგრილობა, ტელევიზია — რადიოს ჩათვლით, როცა ერის საუკეთესო ნაწილი უმძიმეს პირობებში ფრონტზე იბრძვის, საბედისწერო შეცდომათა მთელი სერია მოლაპარაკებების პროცესში, დაბოლოს სამოქალაქო ომი ქვეყანაში — ეს სულ ისეთი მინუსებია, რომელსაც პოლიტიკის ენაზე მთელ მსოფლიოში ხელისუფლების აბსოლუტური ხელმოცარვა ჰქვია. ამ დამარცხებებში სამი მაინც ისეთია, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში ეჭვის ქვეშ აყენებს ადმინისტრაციის ერთგულებას ქვეყნისადმი და ყველა ორგანიზებულ სახელმწიფოში კომისიურ შესწავლას მაინც გულისხმობს. კერძოდ, ისმის კითხვები:

ა) რატომ არ შეწყდა ეროვნული ბანკიდან კრედიტების არარაციონალური გაცემის და, ამგვარად, კუპონის დაცემის პროცესი მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა (პარლამენტში ითქვა), რომ არარაციონალურად გაცემულია 450 მილიარდი მანეთი და კუპონი?

ბ) რატომ არ მოხდა გაგრის კატასტროფის გამოძიება და, საერთოდ, ანგარიშგება სამხედრო მდგომარეობაზე?

გ) რატომ არ ხდება ანგარიშგება საქართველოში წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების, ანუ დამნაშავეობის მდგომარეობაზე, რომელთანაც ბრძოლა სავსებით შესაძლებელია?

მე პირადად ვერ ვხედავ ამ ფაქტებიდან ზემოხსენებული დასკვნის გამოტანის ლოგიკურ აუცილებლობას (რომ ობიექტურად საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა შეგნებულად საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკაა), რადგან მათი ახსნის სხვა შესაძლებლობებსაც ვხედავ. კერძოდ, მათი ახსნისას იმ პირობებით, რაც საქართველოს დღევანდელ ადმინისტრაციას ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით წინა წლებმა შეუქმნა. სახელდობრ:

ა) როდესაც ე. შევარდნაძე 1972-82 წლებში საქართველოს მართავდა, როგორც ცეკას პირველი მდივანი, მაშინ მისთვის არ არსებობდა ძალის წყაროს პრობლემა: მმართველის ნებისმიერ მკვეთრ ღონისძიებას ზურგში ედგა ყოვლისშემძლე მერვე პოლკი და ციმბირი, რომელიც ყოველგვარი წინააღმდეგობის შესაძლებლობას გამორიცხავდა. დღეს საქართველოს მმართველის წინაშე დგას ძალის წყაროს პრობლემა: ჩვის მიერ უნდა განხორციელდეს ესა თუ ის მკვეთრი ღონისძიება?), რომელიც ძალის შექმნის შემოქმედებით ამოცანას გულისხმობს. ამ ამოცანისათვის საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია მომზადებული არ აღმოჩნდა.

ბ) ე. შევარდნაძის საქვეყნოდ განთქმული მოღვაწეობა სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, როცა იგი იბრძოდა ორი უკვე არსებული ძალის — რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთმორიგებისათვის, გულისხმობდა ბალანსირებას — დიპლომატის ამ უმაღლეს ხელოვნებას — ამ ორი ქვეყნის ინტერესთა მოთხოვნებს შორის. მაგრამ სახელმწიფოს შენება, ანუ საკუთარი ძალის შექმნა და ორგანიზაცია, სხვა ამოცანაა, ვიდრე ის, რომელიც წეღან ვახსენეთ. იგი გულისხმობს ერის მატერიალური და სულიერი რესურსების დარაზმვას, მოქალაქეთა საბრძოლველად და სამუშაოდ შთაგონებას, ოპტიმალური ორგანიზაციული ფორმებისა და კადრების გამოძებნას და ა.შ. ამ ამოცანისთვისაც საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაცია მოუმზადებელი აღმოჩნდა.

გ) რუსეთზე ორიენტაციის ფსიქოლოგიურად ბუნებრივმა ჩვევამ, რაც გასაგებია საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის თითქმის ყველა წარმომადგენლის სამსახურებრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, ის შედეგი მოიტანა, რომ ექსტრემალურ პირობებში ანუ გაჭირვების დროს ამ ადმინისტრაციის ჰორიზონტზე, პირველ ყოვლისა, რუსეთის წარმოდგენა ჩნდება, როგორც პრობლემის გადამჭრელისა და არბიტრისა, თუ მხსნელისა არა. სხვა პირობებში ჩამოყალიბებული პიროვნებისთვის — ვთქვათ, იმ ე. წ. „საშუალო ადამიანისთვის", რომელიც ისტორიის პირველ შემოქმედად ითვლება ყველა ქვეყანასა და ეპოქაში — პირველი ბუნებრივი რეაქცია ზემოხსენებულ ექსტრემალურ პირობებში, პირიქით, არის შინაგანი მობილიზაცია, ძალის მოკრება, თავისიანებთან „რიგების შემჭიდროება" და ა.შ. ამ ბუნებრივი რეაქციის უქონლობაა ალბათ იმის მიზეზი, რომ ჩვენ ვართ, ალბათ, ისტორიაში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ომის დროს ორიენტაციას „დიალოგზე" იღებსდა, დადებითი ფაქტორების მობილიზაციის ნაცვლად, თავის შინაგან პოლიტიკაში უარყოფითი ფაქტორებისა და პერსონაჟების ურთიერთდაბალანსებაზე ზრუნავს.

სახელმწიფო პოლიტიკის სახელმწიფოსთვის მიუღებელმა ორიენტაციამ — ანუ ისეთმა ორიენტაციამ, რომელიც არ იძლევა და ვერ მოგვცემს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვას — განსაზღვრა ის, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება იძულებული გახდა დასდგომოდა თავისი ქვეყნისთვის თავისი კურსის ძალად თავსმოხვევის გზას, სახელმწიფოს მეთაურის მიერ თავისი უფლებამოსილებების გადაჭარბების, ანუ ხელისუფლების ნაწილობრივი უზურპირების გზას (პარლამენტის უგულებელყოფა მთავრობის სტრუქტურის რეფორმირებაში, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით განცხადების გაკეთება „ესენგეში" შესვლის შესახებ და სხვა), რასაც, ბუნებრივია, მოსდევს დიქტატურის ელემენტების სათითაოდ ჩამოყალიბება, როგორიცაა პრესის შეზღუდვა, ყოვლად გაუმართლებელი ცენზურა ტელევიზიაში და ა.შ. გზით საქართველოს სვლა დაუშვებელიცაა და შეუძლებელიც... რაა ამ გზის ალტერნატივა?

## VII ალტერნატიული გზა

1. მიუხედავად ზემოხსენებული უპრეცედენტო და ყველასათვის ცნობილი დამარცხებებისა შინ და გარეთ, რაც საქართველოს ე. შევარდნაძის ადმინისტრაციის ხელში ჰხვდა, ხალხის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მეთაურს უყურებს, როგორც ხსნის ერთადერთ იმედს. მიზეზი ისაა, რომ საქართველოს არ ჰყავს პოლიტიკური და ადმინისტრაციული კადრი. პოლიტიკური კადრების უყოლობას საქართველო ვერ შეურიგდება. საქართველოს ჰყავს გონებრივად და მორალურად მომზადებული ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ კადრებად იქცევიან მაშინ, როცა პოლიტიკაში ჩაებმებიან. ასეთი ადამიანები ცოტანი არ არიან და აუცილებელია მათ ხელში რეალური ხელისუფლების დიდი ნაწილის გადაცემა რაც შეიძლება ჩქარა. ეს უნდა მოხდეს:

ა) მინისტრთა კაბინეტის დაუყოვნებლივ განახლებით;

ბ) ადგილობრივი არჩევნების ჩატარებით;

გ) მინისტრთა კაბინეტის განახლებამდე საკვანძო პრობლემების საკონტროლოდ პარლამენტის მიერ და საზოგადოების მიერ შერჩეული საგანგებო კომისრების დაყენებით.

2. რუსეთთან პოლიტიკა პრინციპულად სხვა უნდა გახდეს, ვიდრე არის. ჩვენ გვაქვს ბევრი საერთო ინტერესი (მაგალითად, ეკოლოგიური კეთილდღეობა კავკასიაში), გვაქვს ურთიერთშეუთავსებადი ინტერესებიც (მაგალითად, რუსეთს უნდა ჩვენი ფედერალიზაცია, ანუ, რაც პრაქტიკულად იგივეა, არბიტრად და დიქტატორად ჩადგომა ჩვენს სახელმწიფოსა და ჩვენი მოსახლეობის ერთ მესამედს შორის, რის მიღებაც ჩვენი მხრიდან ჩვენი ქვეყნის ღალატი იქნებოდა. აგრეთვე უნდა ჩვენი მოწყვეტა ზღვისგან და სხვ. ), რის გამოც **აუცილებლად გვჭირდება რუსეთისგან პოლიტიკური თავდაცვის უნარითა და სურვილით აღჭურვილი მთავრობა, და გვაქვს განსხვავებული, მაგრამ ურთიერთშეთავსებადი (და ზოგჯერ ურთიერთშემვსები) ინტერესებიც. (მათ, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელებთ). ჩვენი პოლიტიკა რუსეთის მიმართ სხვა ვერაფერზე აიგება, გარდა იმ ურთიერთშეთავსებად ინტერესებზე მოლაპარაკებისა, ვაჭრობისა, „ჭიდაობისა" და ურთიერთშეთანხმებისა, მაგრამ შეთანხმებისა მხოლოდ ერთი პრინციპით: არც ერთი დათმობა მუქთად. ყველა დათმობა მხოლოდ საურთიერთო შეიძლება იყოს. ასეთი მიდგომა სავსებით შესაძლებელი და განხორციელებადია.**

აუცილებელია შენიშვნა: თუ განხორციელდა საქართველოს დღევანდელი მმართველი გუნდის იმედი, რომ რუსები თვითვე აგვინაზღაურებენ თავის მოყენებულ დანაკლისს აფხაზეთში და ცხინვალში (რისი იმედიც მე პირადად არა მაქვს), მაშინ ამ წერილის ზევრი პუნქტი გადასინჯვას მოითხოვს.

# სამანელები და ანტისამანელები

როსტომ ჩხეიძე

(გაგრძელება)

გიგო ჭაძის მიერ გამოძევებული გარსევანი და მისი თანამზრახველნი აფაკურთაში შეისვენებენ და იქ შეიტყობენ, რომ ვილაცები ( გასაგებია, ვინც ) ხალხს სთხოვენ, იარაღი აისხით და ბოჭორმაში გამოცხადდითო. გარსევანი მეგობრებს ხახაბუში გაგზავნის, თვითონ კი ბოჭორმაში მივა და გეიგებს, რომ სამანელები ჯარისკაცებს დახვედრიან, ერთი მოუკლავთ, ერთი დაუჭრიათ და ორი ავტომატი უგდიათ ხელთ. გარსევანი ისეთნაირად წერს, თითქოს სამანელებს მუხანათურად ჩაედინოთ ეს მკვლელობა, მაგრამ ეს ისევე ნაკლებდასაჯერებელია უფრო საფიქრებელია, რომ ქართველები და რუსები გადაეყარნენ ერთმანეთს და ორმხრივი სროლისას მომხდარა ის შემთხვევა , როგორც ის, თითქოს იმ ორი ჯარისკაცის მოკვლასა და ორი ავტომატის ხელში ჩაგდებას სიხარულით გადაერიოს ადამ ბობლიაშვილი, ის ადამი, ვინც სისხლის დაღვრის დიდი მოწინააღმდეგე იყო და ხშირად უთქვამს: „როგორც შენ გინდა სიცოცხლე, ასევე უნდა სხვა ადამიანებსაცო“ ივანე მაჩაბლიშვილის მოგონებიდან. ჩაიწერა კოტე ჭრელაშვილმა. „მამული“, 1993, №23 .

ბოჭორმაში გარსევანი კვლავ შეხვდება ადამს და აქ ჩართულია სიტყვიერი პაექრობა მათ შორის.

გარსევანი მისი სიმტკიცის შერყევას ცდილობს: თქვენ არსაიდან იმედი არა გაქვთ და ფიქრობთ, რომ ამ რამდენიმე ათეული კაცით, ბერდენკებითა და ცენტრალებით შეებმით სამხედრო ტექნიკას?

ადამი დარწმუნებულია: გავუმკლავდებით, მთებში ტექნიკას მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, და აბა სცადონ ბოჭორმის აღებაო.

გარსევანი მის იმედოვნებას არ იზიარებს: ეხლა კი თოვლია, საზვავეები და ყინვა, მაგრამ როცა გაშრება, მაშინ რაღას აპირებთ. თქვენ მაშინ თავს უშველით, საითმე გადაიხვეწებით, მაგრამ ამ ხალხის ოჯახებს რას ეუბნებით, თქვენ გგონიათ ამათ აპატიებენ?

ადამი კვლავ თავისაზეა: გაზაფხულზე გერმანელები მოვლენ, მათ იარაღიც უკეთესი აქვთ და ჯარიც, ისინი თვითონ მოუვლიან, ჩვენგან მხოლოდ საჭიროა მათი მხარის დაჭერა, რომ დროზე შემოვიდნენ, ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ წინააღმდეგობანი შევუმციროთ. ჩვენ ჩვენი პირადი ინტერესებისათვის კი არ ვიბრძვით, გვინდა ხალხს დაუბრუნდეს მიწები, საქონელი, ცხოვრების თავისუფლებაო.

გარსევანი არ ეპუება: დანამდვილებით რომ იცოდეთ, ვინ მოვა და როდის მოვა, მასე არ ილაპარაკებდი. ახლა ისეთ მდგომარეობაში ხართ, რომ სხვა გზა არ გაგაჩნიათ, ეგრე უნდა ილაპარაკოთ. არ იცით, რა ხდება ქვეყანაზე, ან საიდან უნდა იცოდეთ. ორი კვირის წინათ რადიოს ვუსმენდი და შევიტყვე, რომ ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა რამდენიმე დივიზია მოამწყვდიეს ალყაში, და 70000 —ზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი ტყვედ ჩაიგდეს, ასე რომ, გერმანელებს თავისი გასჭირებიათ. ჯობს ხალხს სიმართლე ვუთხრათ. გერმანელთა წინსვლამ ბევრი შეიყვანა შეცდომაში, მაგრამ ახლა ვითარება სხვაგვარია, ძნელია თქმა, ვინ ვის აჯობებს და თავის შეკავება გირჩევნიათო.

არც ადამი თმობს: გერმანელები თუ არა, ინგლისელები მაინც მოვლენ, ხალხისთვის სულერთია, თავისუფლებას ხომ ეღირსებიანო.

გარსევანიც დაუთმობელია: თქვენი მოქმედების გზა თავისუფლებისკენ კი არა, ბორკილებისკენ ერეკება ხალხს, მდგომარეობა შეიძლება ისე დაიძაბოს, თვითონ ამ ხალხმა დაგი[illegible] იარაღით დევნა და დასანაწილებელი მიწები კი არა, შეიძლება თა-სამარხიც აღარ შეგხვდეთო.

აქ კამათი წყდება: „ჩემი ასეთი გამოხდომა ვატყობდი თანდათან უფრო მწვავდებოდა და გაჩერება ვარჩიე, ისე რომ მათ ზოგიერთ რამეში დავეთანხმე კიდეც“.

ეს ცხარე პაექრობა გარსევან კურდღელაიძესა და ადამ ბობლიაშვილს შორის შესაძლოა მეტ-ნაკლებად ასეც წარიმართა, ოღონდ ადამმა მასთან ერთად იგულისხმებიან მისი თანამებრძოლნიც მკითხველის თვალში არა რეალისტი და გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილება რომ არ დატოვოს, და არავის მოეჩვენოს, რომ იგი იოლად უყურებდა მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებას საქართველოს ცხოვრებაში, ნუ გამოგვრჩება ვითარების ფსიქოლოგიური მხარე:

სამანელებს უკვე ძალიან უჭირთ: აგერ ზედიზედ აპატიმრებენ მათ წევრებს და თანამგრძნობთ. მათი საწინააღმდეგო, ანტისამანური მოძრაობაც საკმაოდ გაიშალა. როგორც ილია ცისკარიშვილის დღიურიდანაც ვიგებთ, უშიშროებამ და მილიციამ ტყეში მიაგნეს მათ ერთ-ერთ მთავარ სადგომს და სამანელებმა მხოლოდ ფეხად გაასწრეს მომხდურთ... არც ფრონტიდან აღწევს მათთვის სასარგებლო ხმები გარსევანი რომ გვარწმუნებს, არ იცოდნენ, ფრონტზე რა ხდებოდაო, ესეც ნაკლებდასაჯერებელია, ბოლოსდაბოლოს, მანამდე თუ არ იცოდნენ, ახლა ხომ შეიტყვეს მისგან, და თუკი მას არ ენდობიან, საგანგებოდ ახლა მაინც შეეცდებოდნენ ცნობების მოკრებას ... ისე რომ, ილუზიების იმედად არავინ [illegible], მითუმეტეს, ასეთი სალი გონების პიროვნება, როგორიც ადამ ბობლიაშვილი გახლდათ, ვინც გერმანელთა წინსვლის დროსაც რეალურად განსჯიდა ყოველივე ეს და სულაც არ ეგონა, ესაა და მივაღწიეთ საწადელსო.

„მეც ალბათ დავმარცხდები, ძნელია ბრძოლა რუსულ ხიშტთან, მოვა დრო და იქნებ... — თუმც ვინ იცის, სიკვდილიც სჯობდეს ამათ მონობას“ — მისი ეს სიტყვები გახსენებულია სილოვან ნარიმანიძის მოგონებაში “ლიტერატურული საქართველო“, 1991, 13 სექტემბერი , სადაც ადამის სახე მიუკერძოებლადაა წარმოსახული და ამიტომ მის ამ ნათქვამშიც არაფერი გვეხამუშება: ესაა რომანტიკული, დაუმორჩილებელი სულის პიროვნება, ვისაც არც რეალობის განცდა ღალატობს.

მაშ გარსევანს რომ არწმუნებს, სულ მალე გავიმარჯვებთო, ეს მემუარისტის პირწმინდა გამონაგონია?

იქნებ მთლად გამონაგონიც არ იყოს და სწორედ ესაა ის ფსიქოლოგიური მხარე: რაკილა სამანელები უკვე ჩიხში მოემწყვდნენ და თვალდათვალ გრძნობენ, როგორ ეშლებათ ორგანიზაცია, მის გადასარჩენად სცადეს მთელი ძალღონის, რწმენისა და იმედოვნების მოკრება. ადამის სიტყვები ყველას გულისთქმას გამოხატავდა. თავიც უნდა დაირწმუნონ და განდგომილნი და ეჭვით მაცქერალნიც დაარწმუნონ, რომ ვიდრე თოვლი გადნებოდეს და ეროვნულ მოძრაობას გადამწყვეტი საშიშროება დაემუქრებოდეს, მანამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსალოდნელი და იქნებ ბედის ჩარხიც მათ სასიკეთოდ შემოტრიალდეს.

ბოლოსდაბოლოს, ხალხს სიმხნევე არ უნდა წაერთვას და თუნდ სამანელებს ალსასრულიც მოეწიოთ, თავისუფლების სულმა კვლავაც უნდა იტრიალოს.

ამიტომაც მოინდომეს ხალხის თავმოყრა და მიტინგების გამართვა.

ამიტომ ამცნეს თუშებს კიდევ ერთხელ და საჯაროდ ის სიმართლე, რომელსაც ულმერთოდ სრესდა და არუმათებდა იმპერიულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა.

და ამ მორალური გაბრძოლების შემდეგ კიდეც შეურიგდნენ მარცხს, რადგან ამასობაში სულ უფრო მოახლოვდა გაზაფხული და არსაიდან ისმოდა დამაიმედებელი ჩქამი.

სამანელთა მოთავეების წამოსვლა კახეთისაკენ გულისხმობდა აშკარა ბრძოლაზე დროებით ხელის აღებას და ალბათ საქართველოდან გაცლასაც. სამანელთა ორგანიზაცია თვითონვე დაშალეს, რათა ხალხი არ გახვეულიყო უბედურებაში. მაგრამ როგორც ცხრამეტი წლის წინათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეს კეთილშობილური განზრახვა — ხალხისათვის რბევა აერიდებინა — ამაო იმედად დარჩა, რადგან ხელისუფლების მხრივ მოწყობილმა პროვოკაციამ მაინც თავისას მიაღწია, რბევას ვერც თუშეთის ეს წინააღმდეგობის მოძრაობა გადაურჩა.

ტრაგიკულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის გზა, როგორც გზა ალექსანდრე ბატონიშვილის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მოთავისა, მაგრამ ამ ტრაგიზმში შემონახება ერის სული, რასაც სრულიად აცამტვერებს მონობასთან შეგუება.

მაგრამ სამანელთა ბირთვის განადგურება და მათ თანამგრძნობელთა დარბევა ცოტა მერე მოხდება, მარტის თვეში.

ჯერ აქ ერთი კიდევ გაისხმარტალეს.

ანტისამანელთა ბირთვიც ენერგიულად მოქმედებდა და სოფლიდან სოფელში (ხახაბუ, ჩიგლაურთა, ქველურთა) რომ გადადიოდნენ, თავიანთ პროპაგანდას განაგრძობდნენ. გარსევანი ჩვენს თვალში ახევასაც ცდილობს: ვითომ იმიტომ დადიოდნენ, რომ კვლავ თავშესაფარს ეძებდნენ, რადგან ომალოში აღარ ჩაესვლებოდათ დაპატიმრების შიშით.

ქველურთაში ისევ გადაიკვეთება მათი და სამანელთა გზა. გიგო და ადამი (ისინიც ახლად ამოსულები არიან ამ სოფელში) წასასვლელად გამზადებულ გარსევანსა და მის მეგობრებს შეაჩერებენ და ეტყვიან: დღეს ჭანჭახოვნელთა საერთო კრებაა მოწვეული და თქვენც უნდა დაესწროთო. ესენიც თანხმობას განუცხადებენ.

სამანელთა თავკაცები რამდენიმე თანამებრძოლს გაგზავნიან სოფლებში ხალხის გასაფრთხილებლად. და გიგო ქაძე გარსევანსაც დაავალებს: შენ და დეკანოზ თავბერიძე შტროლთაში და ხისოში წაბვალთ და ხალხს აცნობებთ, რომ ნაციხარში მოვიდნენო. „ასეთი დავალების შესრულება არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი, მივხვდი, რომ გამოცდა იყო. თუ უარს ვეტყოდი, მაშინ გასაგები იქნებოდა ჩემი დამოკიდებულება მათდამი და გასაკვირი არ იყო, თუ საქმე ცუდად დამთავრებულიყო. დეკანოზიც იმიტომ გამაყოლეს, რომ ეს ერთ-ერთი საიმედო პირი იყო მათთვის. ასე რომ გამოსავალი ყოველმხრივ მომიჭრეს“.

გარსევანს ეჭვით კი უყურებენ, მაგრამ მის მიერ დაყრილმა ხმამ, თითქოს ანტისამანელთა ეს ჯგუფი დაპატიმრებას გაურბოდა, როგორც ჩანს, გარკვეულად მაინც იმოქმედა ყველაზე. თან თავკაცები იმასაც ცდილობენ, რომ ესენი თვალთახედვის არეში ჰყავდეთ მოქცეული.

შტროლთაში მისულები შეხვდებიან მათე წვერაიძესაც და დანაბარებს მასაც გადასცემენ. იგი ხმას არ ამოიღებს. ასეთი სახით ჩნდება ამ დოკუმენტურ მოთხრობაში ის პიროვნება, ვინც სულ მალე საბედისწერო როლს შეასრულებს სამანელთა ცხოვრებაში.

დავალება ამათაც ისევე შეასრულეს, როგორც სხვა შიკრიკებმა; და ხალხმა ნაციხარში მოიყარა თავი. ჭინჭახოვნიდან ყველა მამაკაცი მისულა, გარდა კოლა წვერაიძისა. სიტყვით ჯერ გიგო ქაძე გამოსულა: საჭიროა გომეწრისა და ჭინჭიხოვნის ხეობებმა ერთიმეორეს მხარი მისცენ, რომ არავინ შემოიპაროს, ამიტომ ხახაბუში უნდა შეიქმნას საყარაულო, სადაც ყოველდღე რიგის მიხედვით უნდა გამოცხადდეთ და ერთ-ერთ ხახაბუელთან ერთად იმორიგეოთ. თუ რაღაც საეჭვო შენიშნეთ, მაშინვე შეატყობინეთ სოფლებს, მათ მოსვლამდე კი ადგილზე მყოფმა ხალხმა უნდა შეაკავოს მომხვდურიო. თუ გაჭირდა, გომეწარსაც აცნობონ და მაშველი წამოვაო. შემდეგ ადამ ბობლიაშვილს [illegible]ულია სიტყვა. გარსევანი მის გამოსვლას შეურაცხმყოფელად იხსენიებს, „იგივე იჭყანა, რასაც ყველგან გაიძახოდნენო“, ანუ: მიწისა და საქონლის კერძო მესაკუთრეობის აღდგენა და გერმანელთა იმედად ყოფნა, რომელნიც ზაფხულისათვის მაინც უეჭველად მოვიდოდნენ.

მერე წინასწარ გამზადებული ფიცის ფურცელი ამოუღიათ, ხმამაღლა წაუკითხავთ ხალხისათვის და ყველასთვის მოუწერინებიათ ხელი. გარსევანსა და მის დედიძმა ანტონს ხელმოწერაზე უარი უთქვამთ იმ მიზეზით, ჩვენ ასეთივე კრებას შენაქოში მოვიწვევთ და ხელსაც იქ მოვაწერთო.

გიგო საგანგებოდ გააფრთხილებს თუშებს: ხომ ნახეთ, რომ ფიცის ერთ მუხლში წერია, თუ ვინმე გვიღალატებს და გაგვცემს, თავის ოჯახიანად უნდა მოისპოს, ასე რომ, მისი დანდობა და შებრალება არ შეიძლებაო.

გარსევანი ამ ნათქვამს იმის საბუთად იყენებს, თითქოს ისინი იოლად მიაკერებდნენ ვინმეს გამცემის სახელს, ხალხი კი ისე დაეშინებინათ, ერთმანეთზე გამოსარჩლებას ვერავინ ბედავდა. არა და, ფიცის ეს მუხლი აუცილებელი იყო მორალური თვალსაზრისით, თორემ სამანელებს არც არავისთვის გამოუტანიათ ხელაღებით მსჯავრი და, მითუმეტეს, არავის ოჯახი არ აუწიოკებიათ. მიუკერძოებელი კაცი მათ ასეთ ბრალს ვერ დასდებს. სხვა თუ არაფერი, თვითონ გარსევანიც როგორ საეჭვო პიროვნებად ესახებოდათ და საამისოდ გარკვეული საბუთებიც ჰქონდათ, მაგრამ რადგანაც მისი ბრალეულობა ბოლომდე ვერ დაემტკიცებინათ, ვერც გამცემისათვის საკადრის პასუხს სთხოვდნენ.

კრება როგორც კი მორჩება, შოთა ბაკურიძე და გარსევანი ქუმულაურთაში წავლენ და იქიდან გარსევანის სიძის თადიოზის ხელით ომალოში წერილს გაუგზავნიან ხეცურიანს: „... მოკლედ ავწერეთ საერთო მდგომარეობა, ხალხი რა აზრისაა მათზე და ზოგიერთი წინადადება, თუ როგორ შეიძლება ჩაშლა მათი უკუღმართი საქმის“.

და კვლავ ხეობებსა და სოფელ-სოფელ სიარული, კვლავ მტკიცება იმისა, რომ ნადირივით იმიტომ დაძრწიან, საპატიმროს დააღწიონ თავი. არადა, საიდუმლოდ შეხვდებიან კვაშალის გამოგზავნილ ორ პიროვნებას: ლაზარე ხიზანაიძეს და ჩაგაანთ სამოს, რომლებიც თვითონ კვაშალთან მიიყვანენ. ეს ფარული შეხვედრა მოხდება ჩაგაანთ ბოსელში და გარსევანი და მისი თანამზრახველნი მიიღებენ მნიშვნელოვან დავალებას: რაც შეიძლება მალე ენახათ და შემოერიგებინათ ხალხი ხელისუფლებისათვის პირველ რიგში, ჭინჭიხოვანი . „გარდა ამისა, მონახაზებიც გაკეთდა შემდგომ მუშაობაზეო“.

ომალოში ჯარისკაცები დგანან, სამხედრო ბრძანებით, ღამით ეზოდან გასვლის უფლება არვის აქვს და პატრულები მიმოდიან. მაგრამ ესენი, რასაკვირველია, შეუზღუდავად მოძრაობენ. და როგორც კი ინათებს, ჭინჭიხოვნისაკენ გასწევენ.

ჩიგლაურთაში ბაგრატ მარწინაიძეს, სამანელთათვის მეტად არასან-

[illegible] სისგან [illegible], რომ კრების მერე დღეს შეუდგენიათ წვეროსნებს ხახაბუში მორიგეობის სია: [illegible] სოფლებიდან სამ[illegible], ერთი ადგილობრივი მოსახლე უნდა მიემატოს და სოფლის გზებს უყარაულონ, რათა ჯარის ნაწილი არ შემოეპაროთ. ამასთან, თვალყური ადევნონ წამსვლელთ თუ მომსვლელთ და, თუკი საეჭვოდ სცნობენ, ზომები მიიღონ.

ამ საუბრისას ხახაბუდან წამოსული ქველურთელები გამოჩნდებიან და სამსონ ინაური მაშინვე მათკენ გასწევს მოსალაპარაკებლად. „თურმე ისინიც ძალზე შეწუხებულნი ყოფილან“, უხარია გარსევანს, რადგან მათ სამსონისათვის უთქვამთ: ამ ოციოდე კაცით, ცენტრალებით და ბერდენკებით მთავრობის გადაბრუნება სად გაგონილაო.

თან თითქოს ისევ სამანელებს ემხრობიან, აგერ მათი დავალება შეასრულეს, მაგრამ თვალი უფრო აქეთ უჭირავთ, რათა დროულად გამოეცალნონ, ტყავი გადაირჩინონ და კვლავ კომუნიზმის მშენებელთა რიგებს შეუერთდნენ.

და ასე მხოლოდ ეს რამდენიმე კაცი არ ფიქრობს: ანტისამანური აგიტაციის ნაყოფი ყოველმხრივ თვალნათლივია.

სულ უფრო ახლოვდება საბედისწერო წამები.

შტროლთიდან ხახაბუში სამორიგეოდ მიდიან პლატო უშიძე და მათე წვერაიძე და გზად ჩიგლაურთაში შოთასთან და გარსევანთან შეუხვევენ. შოთა გარსევანს გააფრთხილებს: პლატო ჩვენია, ისინი ჭკუაში არ მოსდის, მაგრამ მათესთან საუბარი ცოტა საშიში არ იყოს, იგი ხომ დეზერტირიაო. გარსევანი დაამშვიდებს: მათეს ამბავი ჩემზე იყოს, ახლო ნათესავია და, თუ არ დამეთანხმება, გაცემასაც ვერ გაბედავსო.

წინასწარვე განჭვრეტილია: მათეს დეზერტირობა სუსტი რგოლი რომ იყო. როგორც სამხედრო დამნაშავეს, მას სხვაზე მეტად მოეკითხებოდა სამანელთა გვერდით დგომა. ამიტომ, თუ ტყავის გადარჩენა უნდოდა, სხვაზე მეტი დამსახურების გამოჩენაც მართებდა ხელისუფლების წინაშე. ასე რომ, მისი დეზერტირობის გამოყენება მარჯვედ შეიძლებოდა, თუკი ჭუჭყიანი გარიგება მათე წვერაიძეს სასჯელსაც აცდენდა და სხვა წყალობასაც დაპირდებოდა.

მათე და პლატო რომ მიუახლოვდებიან, გაოცებულნი ჰკითხავენ: თქვენზე გავიგეთ, სამივე გარსევანი, შოთა და სამსონი ტყეში არიან გახულები და ახლა რამ გამოგიყვანათო. ამათთან გარსევანს მიკიბვ-მოკიბვა და ქარაგმები აღარ სჭირდება და რაკილა მათე საბედისწერო მოვლენის შემსრულებლად დაიგულა, სათქმელიც პირდაპირ უთხრა: ამ სისულელეს ბოლო უნდა მოეღოს, გაზაფხულზე ეგენი თავს უშველიან და ხალხი დაიღუპება, ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ ყველა ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ და მთავრობასთან შევარიგოთ; არავის არ დაიჭერენ, თუკი გამოგყვებიან. ამის პასუხად მათე ეტყვის: მე ხომ დეზერტირი ვარ, გარდა ამისა, მეც ხომ ჩათრეული ვარ ამათ ოხრობაში, გინდაც დამიჭირონ, ჯანდაბას ჩემი თავი, ოღონდ ამოდენა დიაც-ყმაწვილს ნუ დააწიოკებენო.

ხედავთ: ამასაც თავი კი არ ენანება, მხოლოდ ხალხზე ფიქრობს!.. ეს რანაირად იყო, რომ ყველა ხალხზე ფიქრობდა და მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავდა, სამანელების გარდა.

გარსევანი მათეს დაამშვიდებს: დარწმუნებული იყავი, რომ არავინ არ დაგიჭერს, პირიქით, კვაშალმა ისიც გვითხრა, პირველ რიგში მათე ნახეთო.

„მართლაც ასე იყო, — აღნიშნულია მოგონებაში, — რატომღაც კვაშალს იმედი ჰქონდა“.

იქნებ ასეც იყო, იდეა მართლა კვაშალმა მიაწოდა, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ პირველად თვითონ მოუვიდა აზრად და კვაშალისათვის გადაბრალებით ზნეობრივი პასუხისმგებლობის არიდებას ცდილობს: თუმც თავის ანტისამანურ საქმიანობას სავსებით ამართლებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ არც უნდა იყოს, სისხლიან აქტში გარევა ძალიან შეუღ-

არსებითად, არაფერს [illegible] უნდა იყოს იდეა, ხორცი გარსევანმა შეასხა — პირადად „დაამუშავა“ მათე, და უბიძგა სისხლის დაღვრისაკენ. ასე რომ, ვერაფრისდიდებით ვერ აირიდებს ზნეობრივ პასუხისმგებლობას ფრიად მნიშვნელოვანი როლის შესრულებისათვის სამანელთა შევიწროებასა და მათი მთავარი ბირთვის განადგურების იდეურ მომზადებაში.

მათესთან საუბრის მერე სამ დღეში მოივლიან ჩიგლაურთას, ჟველურთას, შემრულთასა და ხისოს და ყველას დაიყოლიებენ, თავიანთ ჰკუაზე გადმოიყვანენ, ერთადერთი ხახაბუში ჩასვლას ვეღარ მოასწრებენ, თუმც დარწმუნებულნი არიან, რომ უარს არც ბაძაგალა ეტყვით და არც სხვები. დავალების თანახმად, სამი დღის თავზე მოხსენებით ბარათს გაგზავნიან სადაც ჯერ არს, შეატყობინებენ ჰინჰიხოვნის ხეობის სოფლების წარმატებით მოვლას და შეპირდებიან, ამ ორ დღეში ხახაბუსაც ვეწვევით და იქაც ყველაფერი რიგზე იქნებაო. წერილს პლატო უშიშე წაიღებს ფარულად: ჩიგლაურთიდან ტყე-ტყე ივლის და ომალოში ღამიანად ჩავა.

ესენი იმ ღამით ჟველურთაში დარჩებიან და დილით ჯერ კარგად არც არის გათენებული, რომ სროლის ხმა გამოაღვიძებთ: ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების კაკანს ნაღმსატყორცნების გუგუნი ენაცვლება. ესენიც გარეთ გაიჭრებიან და ხალხიც მოქუჩდება: აკი შერიგებას გვპირდებოდნენ, რაღას შემოგვიტიესო. ესენი ამშვიდებენ: რაღაც გაუგებრობააო. ჩიგლაურთაში რომ მივლენ, გახურებული სროლა დახვდებათ. სამსონს ეტყვიან: წერილი დაწერე და ომალოში გავატანოთ ვინმეს — რას შვრებიან, რატომ შვებიანო. წერილშიც გაოცებას გამოთქვამენ: ამხანაგო ალიოშა, ძალიან გვიკვირს თქვენი, რატომ გჭირდებათ სისხლისღვრა, როცა ხალხი წინააღმდეგობას არ გვიწევს, გთხოვთ სროლა შეწყვიტოთ, რადგან უკეთესი გზა ხომ არსებობსო.

თავისთვის კი ასე დაასკვნეს: რაკილა შევატყობინეთ, რომ ყველა სოფელი შემორიგებულია, გარდა ხახაბუსი, ეტყობა კვაშალმა მისი აღება იმიტომ გადაწყვიტა, უფროსებთან სათქმელი და სატრაბახო ჰქონოდა, ვინც შეგვირიგდა შეგვირიგდა, ვინც არა და — ძალით დავიმორჩილეო.

ალბათ მართლაც ამიტომ დაიძრა 50 კაცით, ტყვიამფრქვევებით, ნაშხანებითა და ნაღმსატყორცნებით, გათენებულზე სოფელი ხელში მექნებაო, მაგრამ იმედი მალე გაუქარწყლდა. შიკრიკიც შეუგზავნა სოფელში: დამნებდითო, მაგრამ ვერ შეაშინა. არადა, იმჟამად ხახაბუში ორად-ორი კაცი ყოფილა შეიარაღებული, სვიმანი და დექი, და შეტევა მათ მოიგერიეს. კვაშალს ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ტყეში შეუგზავნია, სოფელს თავზე მოექეცითო, მაგრამ დამცველებს თადარიგი დროზე დაეჭირათ და ბაძაგალა მათ რატომღაც თავისიანად რომ მიაჩნდათ, არადა სამანელებს ბოლომდე ურთგულა უკვე ტყეში ყოფილა ასული. და ჯარისკაცებს თავი ამოუყვიათ თუ არა, ორი კლდეზე გადაუჩეხია, დანარჩენებმა კი თავს უშველეს. სროლა ერთხანს კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ კვაშალმა საწადელს ვერ მიაღწია, და, სხვა რა დარჩენოდა, უკან გაბრუნების მეტი.

გარსევანი სიხარულს ვერ ფარავს: „ასეა თავს გასული, უჭკო, უცოდინარი კაცი, რომელმაც მოწინააღმდეგის შესაძლებლობები არ იცის და თავის გამოჩენის მიზნით ისეთ უხიაგობას ჩაიდენს, რომ ამას ჭკუათმყოფელი კაცი არ იზამს... ისიც კარგად იცოდა, რომ ჯარისკაცების სულს არავინ მოსთხოვდა და რასა კარგავდა? არაფერს! პირიქით, თუკი შესძლებდა სოფლის აღებას, მაშინ სულ სხვა ჰანგზე დაიწყებდა საუბარს, ხმაურს, მაგრამ ვერ მიართვეს“.

უცნაურია, არა?! თუ ასეთ უჭკუო თავრასერიოზულ პიროვნებად მიაჩნდა, მაშ მისი უშუალო დავალე[illegible]ებელია სხვა ურთიერთონაირად ანდო? [illegible] გონება გაუნათდა, მიხვდა რასაც სჩადიოდა და ამ სამარცხვინო გზის მიტოვება განიზრახა? არა, არაჭითარი ამის მსგავსი. უბრალოდ გარსევანს პატივმოყვარეობა გაუძლიერდა და ახლა ნიშნს უგებს დაუდამოძუებულ კვაშალს, უჩემოდ ეგრე დაემართებოდაო. მთლად ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ მაინც ამ კუთხის შვილია და ახლა ამ უთანასწორო შეტაკებას წამიერად შეხედაარა საბჭოთა ქვეშევრდომის, არამედ თუში კაცის თვალით.

არჩეული გზიდან უკვე ვეღარაფერი გადაახვევინებდა.

ვისაც რიგის მიხედვით ყარაულობა უწევდა, ანტისამანელთა რჩევით, კიდეც წასულა ხახაბუში. გარეგნულად ყველაფერი ძველებურად უნდა გაგრძელებულიყო, რათა წევრონსნებს ეჭვი არ აეღოთ.

შეტევის მოგერიება ვაჟკაცობა კი იყო, მაგრამ მორალური გამხნევებაც არანაკლებ სჭირდებოდათ და ამიტომ უთვლიდა დევშანოზ თავბერიძე გომეწარში მყოფ თავკაცებს: მალე გადმოდით და ხალხს რაღაც გამამხნევებელი უთხარით, თორემ გული გაუტყდებათ და ხელს ჩაიქნევენ, და ამდენი ნაწვალები და ნაფიქრი ამაოდ ჩაივლისო; ამიტომ ხალხის შეკრება სასწრაფოდაა აუცილებელი, ავტორიტეტულმა პირებმა თუ არ დაარწმუნეს, მერე გაგვიძნელდება ჩვენსკენ შემოვაბრუნოთო.

რადგან გარსევანი საკმაოდ კარგად გაერკვა თუშეთის პოლიტიკურ მოვლენებში და ხელიც შეუწყო მათ წარმართვას ხელისუფლებისათვის სასურველი გეზით, შეუძლია შეუმცდარად შეაფასოს მდგომარეობა: „ეს უკვე საქმის წამოწყების მეორე ეტაპი იყო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა შეკოწიწებული ხალხის მთლიანი ჩაფუშვა და ხელმძღვანელთა დაპატიმრება ან გადახვეწა“.

სამანელთა თავკაცები დღედღეზე უნდა ამოსულიყვნენ ხახაბუში და წინასწარ დაგებულ ხაფანგში მოხვედრილიყვნენ. გარსევანმა, შოთამ და სამსონმა ვლადიმერ თათრულაიძეს ჟნც კვაშალმა მოსალაპარაკებლად შეგზავნა ხახაბუში წერილი გაატანეს ომალოში: იქ მოკლედ იყო მოხაზული, რასაც აპირებდნენ. იმასაც ამცნობდნენ: — ყურადღებით იყავით, თუ საჭირო შეიქმნა, სამი გასროლით შეგატყობინებთ და მაშველი გამოგზავნეთო.

სამოქმედო გეგმა კი ეს შეადგინეს: სამანელთა თავკაცები, რომ გადმოვიდნენ ხახაბუში თავიანთ ორგანიზაციის წევრებთან და გომეწრელებთან ერთად, ვითომდა მიტინგისათვის თავმოყრილ ხალხს უნდა შეეპყრო ისინი, გომეწრელებისათვის იარაღი აეყარათ და გაეშვათ, წევრონსნები კი ომალოში უნდა გაერეკათ. სწორედ ამ სიტყვას იყენებს: „გავრეკოთ“.

ჯერ შტროლთელებს იხმობენ, მერე სხვა სოფლებსაც მოივლიან და ამ სამოქმედო გეგმას გააცნობენ.

რასაკვირველია, მთელი სოფლები არ ეყოლებოდათ ისე გადმობირებული, რომ ყველას მიეღო მონაწილეობა სამანელთა შეპყრობაში. ეს სანდო პირებს ევალებოდათ. ოღონდ მგეცაა, რომ გამოსარჩლებით ვერავინ გამოესარჩლებოდათ: დაშინების, რასაც სამანელებს აბრალებდნენ, სინამდვილეში კი თვითონ სჩადიოდნენ და მოსყიდვის პოლიტიკას თავისი ნაყოფი გამოეღო. თუკი სამანელთა შეპყრობას მომიტინგეთა ერთი ნაწილის მღელვარება მოჰყვებოდა, აგერ ჯარის ნაწილებიც გამზადებულიყო.

სამანელთა დატუსაღება ხალხის სახელით მოხდებოდა და ეს კი, მეტად ხელსაყრელი იყო ხელისუფლებისათვის პროპაგანდული მიზნითაც და ამ სოფლების მორალური გატეხვისა და საბოლოო დამორჩილებისთვისაც.

მეორე დღეს, დილამებულზე, გარსევანს შეატყობინებენ, ხახაბუ[illegible] [illegible]ქვეყ[illegible] [illegible]ლისათვის მოსახლეობა[illegible] [illegible]ურებასო. ის მაშინვე გაგზავნის სოფლებში მაცნეებს და შეუთვლის, ხვალ შუადღემდე ყველა ხახაბუში იყავით-თქვენ-თქვენი იარაღითო.

დილით თვითონაც გასწევენ ამ სოფელში და მიტინგის დაწყებამდე შეუვლიან ლევან თათარიძეს, ქერჩის დაბომბვაში მოყოლილს და სასწაულებრივად გადარჩენილს, ვინც ავადმყოფობის გამო გაუთავისუფლებიათ ჯარიდან. თხრობაში ლევანთან საუბრის ჩართვა იმიტომ დასჭირდა, რომ კიდევ ერთხელ „ემხილებინა“ სამანელები, რომლებმაც თურმე არც თათარიძის შეგონება შეისმინეს, დიდ სისულელეს ჩადიხართო, და სცემეს კიდეც კიდევ ერთი აგიტაციური პასაჟი!.

ისე მოხდება, რომ ლევანთან ეს სტუმრობა გარსევანს სანანებელი დაურჩება.

შეკრების ადგილზე რომ გამოცხადდებიან, ვიდრე ხალხი თავს მოიყრიდეს და თავიანთი მიზნის განხორციელებას შეუდგებოდნენ, დრო გავა. ამასობაში თვალს მოჰკრავენ, რომ ადამ ბობლიაშვილი და მისი ამალა კედლებს მიეფარებიან და ხევისაკენ დაეშვებიან, გზის ზემოთ ბაძაგალა ჩასაფრებულა, რათა მდევარი არ დაედევნოთ, ასე ჩაიშალა ეს ყოველმხრივ მომზადებული მზაკვრული განზრახვა. მიხვდნენ, ანტისამანელები გაცემულები ვართო და კიდეც მიაკვლევენ, რომ ლევან თათარიძის რძალს შეუტყობინებია სამანელთათვის მოსალოდნელი საფრთხე და თვითონაც თან გაჰყოლია გომეწარში, რადგან შინდარჩენილს შურისგება არ ასცდებოდა.

ომალოში ბარათს აფრენენ: ასე და ასე დაგვემართაო. იმასაც ამცნობენ, ჩვენ უკვე საამშკარაოზე ვართ ყველას თვალში და ახალი ტაქტიკაა საჭირო. ვიფიქრეთ, რომ ჰინჰიხოვნის ყველა მამაკაცი შევკრიბოთ და ყველა ერთად მოვიყვანოთ ომალოში, ეს ხმა გომეწარში დავყაროთ და შესაძლოა ამან შედეგი გამოიღოსო. ცხადია, ბარათი მალვით უკვე აღარ გაუგზავნიათ.

ომალოდან პასუხი მოუვათ: ყველა შეკრიბეთ თავთავისი თოფებით და ომალოში გამოცხადდნენო. ესენი მართლაც ოცდაათამდე შეიარაღებულ თუშს ჩაიყვანენ იქ. უფროსობა გამოვა, მიესალმებათ, ილაპარაკებენ თუშეთის ამ „არასასიამოვნო ამბებზე“ და დაპირდებიან: დღეიდან თავისუფლები ხართ, იარეთ საითაც გინდათ და ტკბილად იცხოვრეთო.

„ყველა კმაყოფილი და მოხარული იყო, რომ საქმე ასე გათავდა. საღამოსთვის ყველამ თავთავის სოფელს მიაშურა. მეც შენაქოში წავედი და ამ დღიდან აღარ ჩავრეულვარ მათ საქმეში“.

„აღარც ჩავრეულვარო“ — საგანგებოდ აღნიშნავს. სწორედ ახლა უნდა მოხდეს თორღვას ხეობის ის ტრაგედია: სამი სამანელის მუხანათური ჩახოცვა, სამისაც შეპყრობა და მოგვიანებით დახვრეტა, სხვათა დახვრეტაც, ზოგისაც გაციმბირება. აღარ უნდა ამის მონაწილე იყოს, სისხლსა და ტანჯვა-წამებაში ერიოს ხელი. თვითონ მხოლოდ ხალხის გადარჩენაზე ფიქრობდა: აგერ გადაარჩინა, ხელისუფლებას მათი შეწყალება გამოსთხოვა და მორჩა, სხვა აღარაფერი ეკითხება. შეწყალება, რომ სპექტაკლი ყოფილა, მალე დადასტურდება!.

აღარ ჩავრეულვარო...

მეტი რაღა უნდა ჩარეულიყო: ისედაც გადაჰკიდა ხალხი სამანელებს, ეს გადამწყვეტი დასაყრდენი გამოაცალა და ერთ ადგილას მიჩეხა, იქაც მათ წრეშიც წინასწარვე აამღვრია წყალი და განხეთქილება შეიტანა, და ახლა ჰინჰიხოვნელთა საჯარო და თეატრალიზებული შემორიგების აქრით კიდევ უფრო გაართულა სამანელთა ყოფნა გომეწარშიც და იძულებული გახადა, გასცლოდნენ იქაურობას.

არსაიდან არაფერი ისმოდა სანუგეშო.

ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ რასაც ხახაბუში გადაურჩნენ, გომეწარში დაემართებოდათ.

ამიტომ შეურიგდნენ ბედს და გზას დაადგნენ კახეთისაკენ, რათა იქიდან საზღვარგარეთ გაეღწიათ.

ამ სისხლიან ეპიზოდს კი გარსევანი ნაამბობის მიხედვით ჰყვება, თანაც გაშლილად და ექსპრესიულად კი არა, როგორც მოსალოდნელი იყო მისი შემუშრული თხზულების მთლიანი სტილის მიხედვით, არამედ სიტყვაძუნწად, სტენოგრაფიული მანერით.

„მათი გაპარვის ამბავი ომალოში მოუტანეს, მაშინვე გასცეს განკარგულება, ერთ ჯგუფს გაჰყოლოდნენ კვალზე, არ მოშვებოდნენ, მართლაც იმავე ღამეს წამოეწევიან თორღვას აბანოსთან. ბნელაში მოქმედების საშუალება არა ჰქონდათ, გათენებისას კი, ეტყობა, იმათაც შენიშნეს მდევარი და გაიმართა სროლა. მდევართა შორის იყო წვერაიძე მათეც...“

აღარ ჩავრეულვარო: არადა, ეს ის მათეა, გარსევან კურდღელაიძემ, რომ „დაამუშავა“ და სასჯელის არიდებასაც დაპირდა, დეზერტირობასა და სამანელებთან კავშირში, რომ ედებოდა ბრალი, თუკი ერთგულებას დაუმტკიცებდა ხელისუფლებას. და ახლა ნახეთ, რასაც იზამს:

„... მან ამხანაგებს უთხრა, თქვენ აქედან აუტეხეთ, სროლას ნუ შეწყვეტთ, სანამ მაღლა არ ავალო, მართლაც სათავეს დაუარა და იმ დღეს სამი მათგანი მოსპო“.

ეს სამნი არიან: დევანოზ თავბერიძე, შირანიძე, ფანცალა, მიხეილ იმედიძე და ადამ ბობლიაშვილი.

„დანარჩენები სადღაც კლდეებში მიმალულიყვნენ, თანვე მაშველი ჯგუფიც გაიგზავნა და ბოლოს დანარჩენნიც შეიპყრეს და ყველა დაიჭირეს, ომალოში მოიყვანეს“.

ესენი იყვნენ: გიგო ქააძე, არჩილ კიტოშვილი და ძმები ბუჭაიძეები.

„ბობლიაშვილისა და იმედიძის თავები ზურგჩანთაში ჩაწყობილი მისივე ამხანაგებს აზიდვინეს ომალომდე. აქ ფოტოსურათები გადაუღეს და...“ (ეს პასაჟი ამ მრავალწერტილით წყდება ერთბაშად და თხრობა სხვა ეპიზოდზე გადადის).

როგორ იოლად ითქვა: მოსპობაც, დაჭერაც, თავების მოჭრაც...

თავების მოკვეთის ეს შემზარავი აქტი, დაუვიწყარი და სიმბოლიკით შემოსილი იქნება ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელს ისტორიაში.

დაუვიწყარი იქნება ეს ტრაგიკული დღეც, სამანელთა მოძრაობის აღსასრული: 1943 წლის 18 მარტი.

ამ დოკუმენტური თხზულების ფინალურ ეპიზოდში, კიდევ ერთი ვერაგობის მხილველნი ვხდებით, რომლის მონაწილე თავისი მტკიცებით: უნებლიე გარსევანიცაა. მას კვაშალი დაიბარებს ომალოში და ამცნობს: თუშეთის მოსახლეობის შეკრება გვაქვს დანიშნული და ყველა მამაკაცი გამოცხადდეს, თუ ქალებიც მოახერხებენ, არც ის იქნება ურიგოო. გარსევანი გომეწარს მოივლის და ყველას შეატყობინებს. დანიშნულების დღეს მართლაც ყველა გამოცხადდება და კრებაზე, რომელიც ინტერნატის ეზოში ჩატარდება, მოხსენებით კვაშალი გამოვა. მას ჯერ ფრონტზე საბჭოთა ჯარების წარმატებებზე უსაუბრია, მერე თუშეთის „არასასიამოვნო ამბებზე“ და ბოლოს განუცხადებია: ჰინჰიხოვანმა პირველივე თქმაზე შეიგნო თავისი შეცდომა და შემოგვირიგდა, ხოლო გომეწართან ბევრი ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, სანამ მთავარი ბანდიტები არ გაქრნენ, ამიტომ ჰინჰიხოვნელებს ვათავისუფლებთ, გომეწრელებს კი დავაკავებთ და თვითეულის დანაშაულს გამოვარკვევთო. და იქვე დაუწყია დასაპატიმრებელთა სიის ამოკითხვა.

ცხადია, „შეწყალების“ ეს სპექტაკლი რომ არ გაეთამაშებინათ, ამდენ ხალხს ომალოში ვერ ჩამოიტყუებდნენ.

გომეწრელები იქვე დაუტუსაღებიათ და ინტერნატის შენობაში ჩაუკეტიათ: მეორე დღეს კი, ბარგიბარხანა აუკიდებიათ და შეიარაღებულ ჯარისკაცებსა და მილიციას თელავში ჩაუყვანიათ. „გომეწრის ხეობიდან და ომალოდან თითქმის 4[illegible] პატიმარი იყო, მათ შორის ნახევარზე მეტი ძიებაშივე გაუშვეს. დანარჩენები ხუთიდან — ზთ წლამდე მიუსაჯეს, [illegible] ვრმა ვერ გაუძლო და [illegible] შეეხება უფროსობას, რამდენი მიუსაჯეს ან რა უყვეს, არავინ იცის“.

„უფროსობა“, პირველ ყოვლისა, გიგო ჭააძეს გულისხმობდა. მისი ბედი მართლაც დიდხანს იყო გასაიდუმლოებული და, როგორც მერე ხმებმა გამოაღწია, ისიც და არჩილ კიტოშვილიც, აგრეთვე: ილია ცისკარიშვილი, გიორგი იდიძე, ირაკლი გარსევანიძე და ირაკლი არინდაული დაუხვრეტიათ 1943 წლის ოქტომბრის თვეში.

ვითომ მართლა შემთხვევით და უნებლიეთ მონაწილეობდა გარსევან კურდღელაიძე ამ საბჭოურ ვერაგობაში, ამდენი ხალხის დაპატიმრებაში? , დოკუმენტური მოთხრობის მანძილზე გულმოდგინედ, თუმც ამაოდ, რომ ცდილობს თავისი საქმიანობის შელამაზებასა და გარკვეულ • რეაბილიტირებასაც იმედოვნებს ისტორიის წინაშე, ოფიციალურ დოკუმენტში, 1963 წლის 9 იანვარს დაწერილ ავტობიოგრაფიაში, აკი დაუფარავად და სიამაყითაც იხსენიებდა თავისი ცხოვრების ამ ეპიზოდს: „1942—45 წლამდე ვმუშაობდი, ჩარიცხული ვიყავი მტრის გამანადგურებელი ბატალიონის წევრად, თელავის რაიონში“.

მოგონებებში მისდაუნებურად გამჟღავნებული სიმართლე და ეს ცნობა ერთმანეთს სავსებით ეთანხმება.

პატრიოტების გამანადგურებელი ბატალიონის აქტიურ წევრს შეუძლებელია გულუბრყვილოდ მიეტყუებინა ეს ამდენი ხალხი და ჩეკას მარწუხებში ჩაეყარა. როგორც მთელი ის ხანი მოქმედებდა მიზანდასახულად, ჩეკას მითითებებით, ისე ამ ეპიზოდშიც.

ყურადღება მიაქციეთ თარიღსაც: 1942—45 წლები.

მართალია, სამანელთა ორგანიზაცია 43 წლის აპრილისათვის უკვე დაშლილ-განადგურებული იყო, მაგრამ ნაშთები გადარჩა და, თუმც ხელახალი მოძრაობის წამომწყებნი აღარ იყვნენ, ხელისუფლება მაინც არ მოეშვა მათ დევნას. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე მტრის სინამდვილეში: პატრიოტების გამანადგურებელ ბატალიონს კვლავ თავისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა. გარსევანი ისევ მათ ერთგულ წევრად დარჩენილა და, ღმერთმა უწყის, კიდევ რეები აქვს ჩადენილი...

მისი დოკუმენტური მოთხრობა კი აქ წყდება: „არავინ იცისო“.

ეს თხზულება რომ არა, არაფერი გვეცოდინებოდა თუშეთის 1942—43 წლების ხანმოკლე, ოღონდ მეტად მღელვარე ცხოვრების ამ მხარეზე — ანტისამანურ მოძრაობაზე: სამანელთა ორგანიზაციის განადგურების იდეური საფუძვლის მომზადებასა და მიზანდასახულ განხორციელებაზე.

„მოყინული ბილიკების“ მეშვეობით უფრო სრულყოფილად წარმოსახება სამანელთა ტრაგედია, რაც განზოგადებულად წარმოგვიდგება: ვისი გულისთვისაც გიდაგიდია თავი, უპირველესად ისინი გწირავენ, ისინი არ გინდობენ... და მტერიც ამიტომ ბოჭლობს შენსავ თვისტომებში გამცემს, მოღალატეს, გამყიდველს.

ხალხის მეხსიერებას არ შემორჩა ანტისამანელთა საქმიანობა, უფრო ზუსტად, შემორჩა ისეთი ნამცეცების სახით, საიდანაც რეალური ძაფის გამთლიანება შეუძლებელია. არადა, თურმე აუცილებელი იყო სისრულისთვისაც, მოვლენათა შეფასების სიზუსტისთვისაც. ბოლოსდაბოლოს, სულიერ კათარზისს მარტოდ რომანტიკა და ზნეობრიობა ხომ არ იწვევს. არანაკლებ მნიშვნელოვანია უზნეობის, დაცემის სურათებიც, რათა სული შეირყეს და დაბეჯითებით ირწმუნოს: რა გზით არ უნდა იაროს ადამიანმა.

ამ აზრით, ასეთი თხზულებანი ნეტა სხვანიც მოგვეპოვებოდეს, თუნდ ასე კარგად არც იყოს დაწერილი.

# პასუხი პატრონს უნდა მოსთხოვო

**ნოდარ ნათაძე**

ეს ანდაზაც, ისევე როგორც ყველა სხვა, მხოლოდ მეტაფორაა. ამას ამთავითვე აღვნიშნავ, რათა ავიცილო უსაფუძვლო ეჭვი, თითქოს ვინმეს პიროვნების შეხებას ვაპირებდე. ანდაზის აზრი შემდეგია: არის ვითარებები, რომლებშიც ბრალი ედება არა უშუალოდ შემსრულებელს, არამედ იმას, ვინც ამ უკანასკნელს დავალება მისცა, ან მოქმედების სასურველობა მიანიშნა, ან აიძულა იგი, უხამსი საქმე ჩაედინა, ან წაახალისა, ან შთააგონა; ან სხვაგვარივ ითამაშა მარად სანატრელი ანტიკური ქალწულების — მუზების როლი.. ამ ფაქიზ დიფერენცირებას — შემსრულებლისას ერთის მხრივ და შთამაგონებლისას — მეორე მხრივ — მაშინ აქვს აზრი, როცა შთამგონებლის როლში დიდად პატივსაცემი პიროვნება გამოდის, შემსრულებლის როლში კი ისეთი, რომელსაც დასაკარგი ბევრი, არაფერი აქვს პრესტიჟისა და პატივის სფეროში.

შესაძლოა ამ ანდაზაში უფრო განზოგადებული და ფსიქოლოგიურად ღრმა აზრიც ჩავდოთ, მაგალითად, შემდეგი: დავალების მიმცემი და შთამაგონებელია კაცის ზოგადი მსოფლმხედველობა, მისი აზროვნების წესი, როგორც ასეთი; ხოლო შემსრულებლის როლშია მისი წუთიერი პრაქტიკული ინტერესი ან წუთიერი განწყობა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემი სამწუხარო მოვალეობაა ვუპასუხო მორიგ პასკვილს ჩემი მისამართით, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკამ" ამ რამდენიმე დღის წინ დაბეჭდა სათაურით: ვ.რჩეულიშვილი. "დავამყაროთ უმჭიდროესი კავშირი დემოკრატიულ რუსეთთან" (20.ყ.1993).

„უმჭიდროესი კავშირის" მოუცილებელ წანამძღვრად ავტორს, ბუნებრივია, იმათი განქიქება მიუჩნევია, ვინც დღეს უარყოფს საქართველოს ყელზე „ესენგეს" სახით ახალი ყულფის ჩამოცმის გეგმას, და ამ ადამიანთა შორის მე დამდო პატივი, რომ თავის სამიზნედ ავერჩიე. ამ სახახელო მიზნისთვის იგი მიმმართავს ჯერ კიდევ ძველი კომუნისტების ეპოქიდან ცნობილ ხერხს — ყოვლად უბოდიშო და უაზრო ცილისწამებას, რომელიც იმდენად მარტივია და ადვილად სამხილებელი, რომ მკითხველს მისი შემოწმების სურვილი არ ებადება. დღევანდელი „გარემონტებული" კომუნისტებისთვის ეს ილეთი ისეთივე ორგანული გახლავთ, როგორც ძველი, გაურემონტებელი კომუნისტებისთვის იყო. „თუ გახსოვთ, როცა გამსახურდიამ გაიმარჯვა არჩევნებში, მის პოლიტიკურ პლატფორმაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ რუსეთთან ურთიერთობაში გარდამავალი პერიოდი იყო საჭირო" — გვაგონებს ავტორი. და მაშინ, მისი სიტყვით, „უზენაესი საბჭოს პირველსავე სხდომაზე დეპუტატმა ნათაძემ ეს პოზიცია კაპიტულანტურად მონათლა, მოითხოვა რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და ფაქტობრივად ომის გამოცხადებით დაემუქრა რუსეთს". მე რომ არასდროს არ შევხებივარ უზენაეს საბჭოში არც „გარდამავალ პერიოდს" და არც რუსეთის ჯარის გაყვანის საკითხს, ამის შესამოწმებლად ვიდეოჩანაწერების ნახვა კმარა, ისევე როგორც იმის საჩვენებლად, რომ მე „რუსეთისათვის ომის გამოცხადება" არასოდეს მიხსენებია — არც ძველ უზენაეს საბჭოში და არც ახალ პარლამენტში (მხოლოდ ის ვთქვი ცხინვალის ამბებთან დაკავშირებით და ახლაც ვამბობ, რომ ჩვენ მაშინვე უნდა დაგვეფიქსირებინა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ომის წარმოების ფაქტი).

„აი, აქედან, ამ წუთიდან" (როცა მე რუსეთს ვითომც „ომი გამოვუცხადე") დაიწყო, ავტორის სიტყვით, „საქართველოს დაღუპვა. იმ პერიოდიდან შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, რომელიც ნორმალური პოლიტიკის გატარებას არ გვაძლევდა (მკითხველმა მაპატიოს: განათლებით ლინგვისტი ვარ და რუსიციზმი „არ გვაძლევდა" — не давал — ეჭვს აღმიძრავს, ეს ტექსტიც — და არა მხოლოდ მისი იდეები — რუსული „შპარგალკიდან" ხომ არ მომდინარეობს მეთქი — ნ.ნ.). ბოლოს „ქუჩის პოლიტიკამ გადმოინაცვლა პარლამენტში. მიტინგურმა ტონმა — კაბინეტებში, აი ამის გამოსწორებას დასჭირდა წლები".

არ ვიცი, რას თვლის ავტორი „გამოსწორებულად" იმ დროსთან შედარებით, როცა, მისი სიტყვით, ჩემი საპარლამენტო გამოსვლები მომხდარა, მაგრამ მე პირადად „გამოსწორებულს" საქართველოს შინაგან პოლიტიკაში ვერაფერს ვხედავ. (ერთადერთი გამონაკლისი, შესაძლოა, ის არის, რომ რუსების ორი პოლკის ნაცვლად ცხინვალში ახლა რუსულ-ოსური „სამშვიდობო" ძალები დგას): თუ მაშინ ხაზინიდან გამქრალი თანხები ასიათასებს არ სცილდებოდა, ახლა მხოლოდ ეროვნული ბანკიდან განიავებული მანეთები და კუპონები ერთად ტრილიონს ასცილდა, ე.ი. საქართველოს მოსახლე თითოეულმა სულმა ორასი ათასი მაინც დაკარგა; თუ მაშინ ჩვენი ტერიტორიის მხოლოდ ერთი, ცხინვალის ზონა იყო დაკავებული მტრის მიერ, დღეს მას აფხაზეთიც შეემატა; თუ მაშინ შეტაკებებში, რომლებიც ომად არ ქცეულიყო, ათეულობით ვიღუპებოდით და ასეულებს მივაღწიეთ, აფხაზეთის ომში ათასობით დავიღუპეთ და, ღალატის თუ დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად, საომარი დამარცხება განვიცადეთ (რომლის პასუხიც ჯერჯერობით არავის მოჰკითხვია); თუ მაშინ ბანდიტიზმს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, დღეს იგი ნორმადაა ქცეული; არც ის მიმაჩნია უკეთესობად, რომ ოჯახების მასშტაბით შექმნილი განხეთქილება, ჩვენი ერის პოლიტიკური უმწიფარობის ნიადაგზე, რასაც მაშინ ვხედავდით, დღეს ამავე ნიადაგზე წარმოშობილმა სისხლიანმა სამოქალაქო ომმა შეცვალა; მიუხედავად ჩემი ზიზღისა ისტერიისადმი, როგორც პოლიტიკის ფორმისა და მეთოდისადმი, ვერც „კარვის ქალთა" ინსტიტუტის გაუქმებაში ვხედავ დიდ შვებას, რადგან ჩემი თვალით ვარ მოწმე „კარვის კაცების" (თუკი მათ კაცები ეთქმით) ინსტიტუტის აღმოცენებისა;საქართველო რომ ერთის მხრივ, უდროში ჩერქეზ-ყაზახ-რუსების, მეორე მხრივ კი დროშიანი რუსების ომის ასპარეზად გადაქცეულა, და ვიღაცას ჰგონია, რომ ესენი ერთმანეთს ესვრიან და აბათილებენ, და არა ქართველებს, ამაშიც დანაშაულის გარდა ვერაფერს დავინახავ. მაგრამ მე მაინტერესებს არა რჩეულიშვილის ლოგიკა ან მისი მორალური სახე; არამედ მხოლოდ ის ცბიერად გათვლილი, თუმცა კი მოკლეფეხება სიყალბე, რომელიც დღეს, რაღაცა გაუგებრობით, ლამის სახელმწიფო იდეოლოგიად ან, თუ გნებავთ, სახელმწიფო იდეოლოგიის სუროგატად ქცეულა. ეს „იდეოლოგია", რა თქმა უნდა, რჩეულიშვილის შეთხზული არაა და ამიტომაცაა იგი სახიფათო და ავბედითი. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია: „საქართველოს დღევანდელი უბედურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრალია; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იგივეა, რაც ზ.გამსახურდია, და ამ უკანასკნელის დონეზე დგას; ჩვენ რომ რუსეთისთვის არ გვეწყენინებინა ჩვენი თავისუფლების მოთხოვნით და ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებით, დღეს ისეთივე ბედნიერები ვიქნებოდით, მანეთიანი შაქრითა და ორმანეთიანი ხორცით გამოკვებილნი, როგორც ადრე ვიყავით; მაშ ნუღა გავაღიზიანებთ რუსებს ჩვენი თავისუფლებით, დავუკანონოთ მათ ჩვენს ქვეყანაზე ბატონობა და ეგებ მათ მიერ წართმეული აფხაზეთიც დაგვიბრუნონ, ბლოკადაც მოგვიხსნან და ერთი-ორი ლუკმაც გადმოგვიგდონ სულის მოსათქმელად".

ამ „იდეოლოგიაში", სულ ცოტა, ხუთი ტყუილია და ერთი ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელსაც დღევანდელი „გარემონტებული" კომუნისტები თვითონ ვერ ამჩნევენ, რადგან მექანიკურად იმეორებენ ძველი, რემონტამდელი კომუნისტების საპროპაგანდო ილეთებს. პირველი ტყუილი ის გახლავთ, რომ საქართველოს შეეძლება „ესენგედან" გამოსვლა, სადაც მას წერილის ავტორი ეპატიჟება. მეორე ტყუილია ის, რომ „ესენგეში" ყოფნა საქართველოს თვით ამ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან ომისაგან მაინც დაიცავს. (ვერ დაიცავს, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის ომს არ უშლის ხელს ორივეს ყოფნა „ესენგეში". პირიქით: ყველამ ვიცით, რომ რუსეთს კარგა ხანია ხელი აქვს აღებული პასუხისმგებლობაზე თავისი მოქალაქეების საომარი მოქმედების გამო სხვა ქვეყნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსი, კაზაკი და ჩერქეზი „ბოევიკები" ჩვენს ქვეყანას არც მომავალში მოაკლდებიან, მით უფრო, რომ „ესენგეს" დებულება შავით თეთრზე ანიჭებს ამ გაერთიანებას თავის წევრ ქვეყნებში ე.წ. „ეროვნული ურთიერთობების" რეგულირების ანუ ეთნოკონფლიქტების მოწყობის უფლებას); მესამე ტყუილი ისაა, რომ დასავლეთის ქვეყნები, თითქოს, საქართველოს ურჩევენ, უფრო მეტიც — მოითხოვენ მისგან „ესენგეში" შესვლას (დასავლელ ჟურნალისტებს, დიპლომატებსა და პოლიტიკოსებს ჩვენც, უბრალო მოკვდავნიც ველაპარაკებით და მათს პოზიციაზე ინფორმირებისათვის პრივილეგირებულთა დახმარებას არ ვსაჭიროებთ); მეოთხე ტყუილი ისაა, რომ თუ „ესენგეში" შევალთ, რუსეთი თითქოს ნებით დაგვიბრუნებს ჩვენგან მიტაცებულ მიწა-წყალს. მეხუთე და, ალბათ, ყველაზე უსინდისო ტყუილი ის არის, რომ „ესენგე", თითქოს, სიღატაკის ესკალაციას კი არა, სიმაძღრეს მოგვიტანს. წინააღმდეგობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ესენგეს მომხრეები ერთის მხრივ, გვარწმუნებენ „საქართველო დაღუპულიაო" (რადგან, თუ დაღუპულნი არა ვართ, მაშინ რატომ ვართ იძულებულნი, კაპიტულაცია გამოვაცხადოთ?), მეორეს მხრივ კი გვეუბნებიან, „მდგომარეობა სწორდებაო, აგერ, რამდენი მიღწევა გვაქვს უკვე და სადაა ისევ ძველებური „პარადული კეთილდღეობის" ატმოსფერო აღდგებაო". აი, ეს მანკიერი სულისკვეთება და ცნობიერება — ანუ, მოდური ტერმინით რომ ვთქვათ, ეს მანკიერი მენტალიტეტი — გახლავთ ის ზოგადი ფონი, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების მადეზინფორმირებელი და პიროვნებისადმი ცილისმწამებელი წერილების წერას — ალბათ, ე.წ. „ადამიანური სისუსტის" წუთებში — ინტელექტით უმისოდაც არც თუ ძლიერი და მორალით კიდევ ნაკლებ ძლიერი ინდივიდების მიერ.

ამგვარი წერილების პასუხი დროის ფლანგვაა, მითუმეტეს, თუ პასუხს ვერ ბეჭდავთ იმავე გაზეთში, რომელშიც წერილი დაისტამბა (მე პირადად გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" ამ პასუხის დაბეჭდვაზე უარი მითხრა). ამიტომ მკითხველს ვთხოვ, ჩემი ეს პასუხიც „ადამიანურ სისუსტეს" მიათვალოს, რომელიც გვიშლის ხელს, ყველა ცილისწამებასა და ყველა სულიერისაგან მიღებულ ბეჭდურ ან მიკროფონულ წიხლს ფილოსოფიური სიმშვიდით შევხედოთ.

მაგრამ რაკი მკითხველი უკვე შევაწუხე, თავს უფლებას მივცემ, მას ერთი ანეკდოტი მოვაგონო, რომლის გახსენებაც, სამწუხაროდ, ხშირად მიხდება, და ზედ, ვისისა და რამინის ამბის ჩამწერივით, ერთი „პუქმათი-შეგონებაც" დავაყოლო.: კაცი სამსახურში ეწყობა. ეუბნებიან „კადრების განყოფილებას უნდა შეუთანხმოთო". სამსახურის პრეტენდენტი პასუხობს: "ყველაფერს ვიკადრებ, ბატონოო". მართალია, ადმინისტრაციას სჭირდება უკლებლივ ყველა ინსტრუქციის შემსრულებელი პიროვნებები, მაგრამ მაინც არ შეიძლება მმართველი გუნდის დაკომპლექტებისას ადამიანები მხოლოდ ყოვლისმკადრებლობის ნიშნით ავარჩიოთ! ეს ისეთივე ცალმხრივობა იქნება, როგორც მესაქონლეობის დამყარება, მხოლოდ ყოვლისმჭამელი ცხოველის — ღორის მოშენებაზე, მაშინ როცა საზოგადოებას სჭირდება სხვა პროფილის ცხოველებიც: მეწველი, მორბენალი, გამწევი, მატყლის მომცემი, მოდარაჯე და მონადირე. პოლიტიკა, მოგეხსენებათ, შემოქმედებაა ყველა დონეზე.. შემოქმედებას სჭირდება შინაგანად თავისუფალი ადამიანი, კარგ პოლიტიკას — კარგი გუნდი და ახალ პოლიტიკას — ახალი გუნდი.


დუბაი — მომზიდველი ტური საქმიანი ხალხისათვის

იჩქარეთ გააკეთეთ სწორი არჩევანი.



საგამომცემლო ფირმა

აგა

გთავაზობთ

✔ წიგნების
✔ ჟურნალ-გაზეთების
✔ სავიზიტო ბარათების

სხვა ორიგინალ-მაკეტების მომზადებას
კომპიუტერული სისტემის გამოყენებით

tel. 93-83-07 29-49-60



მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
ზერბო ჯანაშია





რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
600 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა"-ში
ტელ:
93—83—07, 29—49—60